საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 11 მაისი, 2013 წელი.

№86 (7213)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდეური სიფცვაა, ფცუილებით და ჭორებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

კიდევ ერთხელ გადავიკითხოთ წმინდა ილია მართლის „ბედნიერი ერი“!

③

ელიზბარ ჯაველიძე: ნაციონალური მოძრაობა ისევე უნდა აიკრძალოს, როგორც ფაშიზმი - გერმანიაში!

⑤

მკვლელობთან თანაარსებობა შეუძლებელი საქმეა

კირკიტაძე და მისი კლანი, შეიძლება, რუსთავის ავტომაგისტრალს შეეწირონ

⑪

საყდრისის საიდუმლოება

⑨

ჯემალ აჯიაშვილი - მუდმივი თანამედროვე

⑥

ნინი ჭანტურია: პოლიტიკაში ქალთა ჩართულობის დონე დაბალია

④

საქართველო და აზერბაიჯანი: ისევ ძმურად, მაგრამ უფრო ფრთხილად

②

◎ დღის ანეკდოტი

საბჭოთა საქართველოში სექსი არ იყო, მაგრამ შობადობა იყო.

ამჟამინდელ საქართველოში სექსი ზომაზე მეტია, მაგრამ შობადობა არ არის.

რატომ?

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობები

საქართველო და აზერბაიჯანი: ისევ ძმურად, მაგრამ უფრო ფრთხილად

ბოლო დროს საქართველო და აზერბაიჯანი ერთმანეთს დიდი სიფრთხილით ეკიდებიან. წავიდა ის დრო, როდესაც აზერბაიჯანს საქართველოში ენერგოშემცველებზე მონოპოლია გარანტირებული ჰქონდა. როგორც ჩანს, არსებული რეალობა ვითარების ხელახლა „დალაგებას“ მოითხოვს. აქ კი დიპლომატიაა საჭირო. ამიტომაც ორივე ქვეყნის დიდმოხელეები ცდილობენ, განსაკუთრებული ყურადღება გამოსატონ ერთმანეთის მიმართ, დიდსულოვნება გამოიჩინონ და მუდმივად ორი ქვეყნის ძმურ ურთიერთობაზე გააკეთონ აქცენტი.

ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება თანამდევი გამოსვლებით, რუსთავში გაიმართა. პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა კომპანია „სოკარის“ პრეზიდენტ როვნაგ აბდულაევთან და აზერბაიჯანის კულტურისა და ტურიზმის მინისტრ აბულფაზ გარაევთან ერთად, აზერბაიჯანის ყოფილი პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის ძეგლი და მისივე სახელობის სკვერი გახსნა.

ღონისძიებას აზერბაიჯანის მთავრობის წარმომადგენლები, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია, ენერგეტიკის მინისტრი კახი კალაძე, რეინტეგრაციის მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი, საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ბიძინა ივანიშვილმა საქართველოსა და აზერბაიჯანის მეგობულ ურთიერთობებზე ისაუბრა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის საკითხში ჰეიდარ ალიევის განსაკუთრებულ როლზე გაამახვილა ყურადღება.

„სწორედ ჰეიდარ ალიევის დამსახურებაა ის, რომ აზერბაიჯანული ნავთობი გაედინება საქართველოს ტერიტორიაზე შავი ზღვის გავლით და სწორედ ჰეიდარ ალიევის დაყინებული პოზიციით მოხდა და მოხერხდა ეს ყველაფერი, რაც განხორციელდა. იმ დროს იყო არჩევანი და იყო ალტერნატიული გზები.

სწორედ ჰეიდარ ალიევის შორსმჭვრეტელმა ნაბიჯმა გადაწყვიტა ყველაფერი. მან აზერბაიჯანული წილიც კი დათმო ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ, რამეთუ ძალიან ძვირ ფასს ადებდა აზერბაიჯანისა და ქართველი ხალხის მეგობრობას. სწორედ მისმა პოზიციამ გადაწყვიტა ის, რომ აზერბაიჯანული ნავთობი გაედინება საქართველოს ტერიტორიის გავლით. ჩვენ მისი ძეგლის გახსნით პატივი მივაგეთ არა მარტო ბატონი ალიევის ხსოვნას, არამედ აზერბაიჯანელი და ქართველი ხალხის მეგობრობას“, — აღნიშნა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა საქართველოსა და აზერბაიჯანის ისტორიული მეგობრობა უფრო მაღალ საფეხურზე ავიდეს და დღევანდელი დღეც ამის დასტურია. **„სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი გახლავთ აზერბაიჯანი და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მომავალში ერთად, მხარი-მხარ ავაყვავოთ ჩვენი ქვეყნები. ჩვენ ვამაყობთ ჩვენი ისტორიული მეგობრობით ორ ერს შორის და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ მომავალში ჩვენი ურთიერთობა კიდევ უფრო გაღრმავდეს“,** — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

საქართველოს მხრიდან ასეთი დამოკიდებულების მიუხედავად, ბაქოში მაინც შეფიქრიანებულნი არიან ენერგეტიკის მინისტრის კახი კალაძის ორი დღის წინანდელი განცხადების გამო. თუკი აქამდე აზერბაიჯანი საქართველოში ენერგოშემცველების სრულ მონოპოლისტად მიიჩნეოდა, სამომავლოდ, შესაძლოა, რეალობა აბსოლუტურად სხვაგვარი იყოს. ამიტომ ბაქოშიც ცდილობენ, რომ საქართველოსთან წლების განმავლობაში მოპოვებულ ურთიერთობას გაუფრთხილდნენ.

ბაქოში, „სოკარის“ სათავო ოფისში, აცხადებენ, რომ გაზის მიღების წყაროების დივერსიფიკაცია საქართველოს სუვერენული უფლებაა და, რა გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღოს ამ კუთხით ქართულმა მხარემ, აზერბაიჯანი გააგრძელებს მისთვის გაზის დაბალ ფასად მიწოდებას.

ამასთან, „სოკარში“ იხსენებენ 2006 წლის იანვარში რუსეთის ტერიტორიაზე გამავალ გაზსადენზე მომხდარ ავარიას და ხაზს უსვამენ, რომ ისევე როგორც მაშინ, მომავალშიც, მსგავს სიტუაციაში მზად არიან, საქართველოს გაზი უანგაროდ მიაწოდონ, რათა მოსახლეობა ბუნებრივი აირის გარეშე არ დარჩეს.

აზერბაიჯანთან გაფორმებული გრძელვადიანი კონტრაქტის შედეგად, საქართველო შედარებით იაფი გაზით მარაგდება. ქვეყანაში ოთხი სხვადასხვა წყაროს და სხვადასხვა ფასის გაზი შემოდის, მათ შორის, ორი წყარო არის შაჰდენიზის და ის ლიმიტირებულია.

საერთო ჯამში, დაახლოებით, 250 მლნ კუბური გაზი არის 55-დოლარიანი, 500 მლნ კუბური გაზი — 64-დოლარიანი. იმავდროულად, ქვეყანა იღებს გაზს რუსეთ-სომხეთის ტრანზიტისგან — 150 მლნ კუბური მეტრი გაზი. 900 მლნ-ს ქვეყანა იღებს აზერბაიჯანიდან, ორი სხვადასხვა კონტრაქტით, რომელთაგან ერთი არის ე.წ. სოციალური გაზი (167 დოლარი), ხოლო მეორე — კომერციული გაზი (240 დოლარი).

გიორგი ბეძაური

უნიკალური მუზეუმი

7 მაისს თბილისში, გორგასლის ქუჩაზე (№17) გაიხსნა მირზა ფათალი ახუნდზადეს (ახუნდოვის) სახელობის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმი. ეს სახლი, რომელიც თვითონ მირზა ფათალიმ ააშენა და სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა, 1982 წლიდან მუზეუმის ფუნქციას ასრულებს. 2012 წელს მ. ახუნდოვის დაბადებიდან 200 წლისთავთან დაკავშირებით აქ კაპიტალური რემონტი ჩატარდა და შენობამ ამჟამინდელი სახე მიიღო.

უნიკალური მუზეუმის განახლებული საექსპოზიციო ნაწილი ექვსი დარბაზისგან შედგება და უამრავ საინტერესო მასალას შეიცავს.

განახლებული მუზეუმი პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა გახსნა.

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

◎ ეროვნული აკადემიის ფოსტიდან

გმადლობთ, ბატონებო!

ჩემი ჭაბუკობის ძმასა და მეგობარს მალხაზ ზაალიშვილს ვთხოვ, ნაუკითხოს ეს ტექსტი დამსწრე საზოგადოებას

ბატონებო, ნება მიბოძეთ, არა მარტო უღრმესი მადლობა მოგახსენოთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრის წოდების მონიჭებისთვის, არამედ გეთაყვანოთ ქართველი ერის სამეცნიერო წინსვლაში გაწეული ღვაწლის გამო.

ჩემი და ჩემი ოჯახის უფროსი თაობის წარმომადგენელთა სახელითაც მოგახსენებთ უღრმეს მადლობას, თაობისა, რომელმაც ერის თავდადებულ სამსახურს შეალია სიცოცხლე და ბოლშევიკთა მოცადეობით აღესრულა, ვინ — სად და როდის. ესენი არიან: პოეტი და საზოგადო მოღვაწე შალვა ამირეჯიბი, ჩემი ბიძა, ვინც უცხოეთში აღესრულა; მამაჩემი ირაკლი ამირეჯიბი, ვინც რვაგზის პატიმრობით აღნიშნა თავისი იურიდიული და ეროვნული მოღვაწეობა; მამიდაჩემი, მხატვარი ტასო ამირეჯიბი, გერონტი ქიქოძის მეუღლე; მეორე მამიდა ცაცა ამირეჯიბი, საქართველოს სახალხო არტისტი; პაპის ძმა კონსტანტინე (კოსტა) ამირეჯიბი სწავლული, დიდი გენერალი და სხვანი და სხვანი, ვინც ბოლშევიკებმა ამოწყვიტეს და ბოლოს ზეც მეც მიმაყოლეს. აი, ამ მოღვაწეთა ჯილდოა თქვენ მიერ მონიჭებული დღევანდელი ჩემი აკადემიის საპატიო წევრის წოდება. ამათი და სხვა წინაპართა ნაშიერი და სულიერი შედეგი გახლავთ მწერალი ჭაბუა ირაკლის ძე ამირეჯიბი, ამჟამად ბერი დავითი, ვისაც დღეს თქვენ ესოდენ დიდი პატივი მიაგეთ.

გმადლობთ ბატონებო, უღრმეს მადლობას მოგახსენებთ ზემოხსენებულ მოღვაწეთა სახელითაც.

ჭაბუა ამირეჯიბი — ბერი დავითი



01.05.2013.

◎ სარედაქციო ფოსტიდან

პრეზიდენტობის კანდიდატად მე სულაც ვახტანგ ძაბირაძის წამოვაყენებდი!

მართალია, ახალი კანონმდებლობისდა მიხედვით ქვეყნის პრეზიდენტს ფრიად შეზღუდული უფლებები ექნება, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ თანამდებობაზე ვინმე უსახური პიროვნება ავირჩიოთ. ის უწინარესად და აუცილებლად ბრძენთა ბრძენი თუ არა, ბრძენი მაინც უნდა იყოს, თანაც არც ერთ პარტიას არ უნდა წარმოადგენდეს და საერთო საქვეყნო საქმეებით უნდა იყოს დაგულისყურებული.

ასეთ პიროვნებად მე, მაგალითად, ცნობილი პოლიტოლოგი, აშკარად პატიოსანი ქართველი ვახტანგ ძაბირაძე წარმომიდგენია. ეს მარტო ჩემი კერძო აზრი არ არის. ვისაც კი ჩემ გარშემო გავენდე, ყველამ კმაყოფილება გამოთქვა.

ვნახოთ, ხალხმა გადაწყვიტოს.

ოთარ გამყრელიძე,
ქ.თბილისი.

◎ ინფორმაცია

ლაფანყურში დაღუპულთა ექსპერტიზაში მაია ნიკოლეიშვილი ჩაერთო

დამოუკიდებელი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი მზად არის, ლაფანყურის სპეცოპერაციის დროს დაღუპულთა ცხედრების ექსპერტიზაში ჩაერთოს. როგორც ნიკოლეიშვილმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, შესაბამისი შეთავაზება მან დაღუპულთა ოჯახის წევრების მოთხოვნის საფუძველზე სახალხო დამცველისგან მიიღო, რასაც დათანხმდა.

— თანახმა ვარ, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე მივიღო ექსპერტიზაში მონაწილეობა, თუმცა, აღნიშნულთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის და ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რას იტყვის შინაგან საქმეთა სამინისტრო, — განაცხადა მაია ნიკოლეიშვილმა.

მისივე განმარტებით, საპროცესო კანონმდებლობით, პროცესის მწარმოებელს უფლება არ აქვს, ოჯახის მიერ მოთხოვნილი ექსპერტის ჩართვაზე უარი განაცხადოს.

ნიკოლეიშვილის აზრით, თავად შსს უნდა იყოს დაინტერესებული, რომ ექსპერტიზაში დამოუკიდებელი ექსპერტებიც ჩაერთონ, რათა დადებულ დასკვნასთან დაკავშირებით მოგვიანებით კითხვები არ გაჩნდეს.

ლაფანყურის სპეცოპერაციის დროს დაღუპული სამი პირის ცხედრის ექსპერტიზა 8 მაისს მოხდა. გამომძიებლებმა დუისის სასაფლაოდან ექსპერტიზისთვის დაღუპულების - ასლან მარგოშვილის, სალამ ზაურბეკოვის და ბაჰაუდინ ბაღაკაშვილის ცხედრები ამოიღეს.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ აქტუალური ინტერვიუ

კიდევ ერთხელ გადავიკითხოთ წმინდა ,,ბედნიერი ერი''!

ნომრის სტუმარია საერთაშორისო სამართლის ექსპერტი, სამართლის დოქტორი, პროფესორი ბიძინა სავანელი

— რა პოლიტიკურ-სამართლებრივ შეფასებას მისცემ-დით დღევანდელ ვითარებას საქართველოში?

— სააკაშვილის და მისი შეიარაღებული თანამოაზ-რეების მიერ 9 წლის პერიოდში სოციალურად, ეკო-ნომიკურად, კულტურულად და პოლიტიკურად გა-პარტახებულ ქვეყანაში, რის გამოც რუსეთმა საქარ-თველოს ტერიტორიის 20% მიიტაცა, ხოლო აჭარის ხავერდოვან მიტაცებას თურქეთი ეწევა, კიდევ ერ-თი ეთნიკური კონფლიქტის კერა საბჭოთა რუსეთის იმპერიის მიერ გადასახლებული თურქების მესხეთ-ჯავახეთში ჩამოსახლებით შეიძლება შეიქმნას?! რა დროს „რეინტეგრანტი" რესპუბლიკელების მიერ ინი-ცირებული სომხური ენისათვის რეგიონული სტატუ-სის მინიჭებაზეა საუბარი, როდესაც საქართველო თვალსა და ხელს შუა გვეცლება?!

თუ ევროპას და ამერიკას ჩვენთვის გული შესტკი-ვა, რაშიც დიდი ეჭვი მეპარება, ჯერ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში ხელი შეგვიწყოს, სააკაშვი-ლის და ბენდუქიძის მსგავსთა მშვიდობიან მოშორე-ბაში და ქვეყნის დალაგებაში მოგვეხმაროს.

— პირიქით ხომ არ ხდება?

— დიახაც რომ, პირიქით ხდება: ევროპა კი არ გვეხ-მარება, არამედ რეგიონული კონფლიქტების გაღრ-მავების პროვოცირებას უწყობს ხელს, ხოლო ამერიკა სააკაშვილის და მისი თანამოაზრეების გადასარჩე-ნად „კოჰაბიტაციის" შემოგდებული ლოზუნგით სა-ქართველოში ნებისმიერი ქვეყნისათვის დამანგრეველი დაუსჯელობის სინდრომის დამკვიდრებას ხელს უწყობს. ესეც თქვენი ევროპა და ამერიკა. საქართვე-ლოში დესტაბილიზაცია რუსეთსაც ხომ აძლევს ხელს.

— რა ალტერნატიულ გზას შეთავაზებდით მთავრობას?

— აბა, დაუკვირდით, პრესასა და სატელევიზიო სივ-რცეში ჭია-ჭუა საკითხებზე რა ბაკქანალია არის ატე-ხილი. ჟურნალისტების თითქმის მთელი არმია ორ-ღობის ჭორიკნობით არის დაკავებული: ამან რა თქვა და იმან რა უპასუხა, ამან რა ქნა და იმან საპასუხოდ რა მოიმოქმედა, ვინ დაიჭირეს და ვინ არ დაიჭირეს, რომელ მინისტრს გადააყენებს და ვის წამოაყენებს პრეზიდენტობის კანდიდატად ივანიშვილი, ვინ არის და ვინ არ არის რუსეთის აგენტი და ა.შ. ამ მიმართებით თეა სიჭინავას გადაცემები ამ ბაკქანალიის ერთ-ერთი სწორუპოვარი ნიმუშია. ოპონენტებს შორის კინკლა-ობის წახალისება გახდა ამ ჟურნალისტის საქმიანობის უმთავრესი მიმართულება. ამ „სიკეთეებისგან" არც პარლამენტია თავისუფალი. პარლამენტი ფრანგული წარმომავლობის სიტყვაა, სალაპარაკო ადგილს ნიშ-ნავს და არა სიცრუის ტირაჟირებას, რასაც ნაციო-ნალებად სახელგადარქმეული მოქალაქეთა კავშირის ახალგაზრდა კოსმოპოლიტები ასეთი „წარმატებით" ეწევიან.

პრესასა და სატელევიზიო სივრცეში პოლიტიკოსები და ექსპერტები მხოლოდ იმას აღნუსხავენ **„რა არის"**. არც ერთი მათგანი არ საუბრობს **„რა უნდა იყოს",** რათა არ იყოს ის, რაც არის. წარმოჩენილია ნორმატიული აზროვნების სრული დეფიციტი, უფრო მეტიც, დეგ-რადაცია. მათ შორის გამონაკლისი მხოლოდ თეა წუ-ლუკიანი და მისი უახლოესი გუნდია. „არსის" სივრ-ცეში ჩამწყვდეულ ერს მომავალი არ აქვს. ჩვენ არა-ფერი გვეშველება, თუ **„ჯერარსობრივ"** აზროვნება-ზე არ გადავედით. კმარა საქართველოს ტრაგიკული მდგომარეობის კონსტანტანცია.

— რა უნდა შეიცვალოს?

— საჭიროა ცივილიზებული კაცობრიობის მიერ სა-უკუნეების მანძილზე დაგროვილ გამოცდილებაზე დამყარებული პრინციპებისა და ნორმების გამოყე-ნების მეთოდებზე ვიპაექროთ, რადგან „აწმყო, შობი-ლი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა". სიტყ-ვის თავისუფლება, თუ ის მხოლოდ სუბიექტურ აზ-რზეა დამყარებულია და არ ითვალისწინებს კაცობ-რიობის მიერ საუკუნეების მანძილზე დაგროვილ გა-მოცდილებაზე დამყარებულ საყოველთაოდ აღიარე-ბულ პრინციპებსა და ნორმებს, ქვეყანას **ბნელ ღამე-ში შავკანიანთა ბრძოლას** დაამსგავსებს, ხოლო ინდი-ვიდებს შიზოფრენიის ფონზე პარანოიკებად აქცევს, რისი კლასიკური ნიმუში თვითმარქვია პრეზიდენტია.

— რას გვთავაზობთ?

— გთავაზობთ, კაცობრიობის მიერ საუკუნეების მან-ძილზე დაგროვილ გამოცდილებაზე დამყარებულ სა-ყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმე-ბის გამოყენების პრაქტიკულ მოდელს.

ცნობილი ნორვეგიელი მეცნიერი და პრაქტიკო-სი ტორსტეინ ეჩკოვი თავდაუზოგავად ებრძოდა მცირე ერების ნატოში და ევროკავშირში გაერთი-ანებას, ხოლო მსოფლიოს საქმეებში ამერიკის დო-მინანტურ როლს კატეგორიულად გმობდა. მან გან-აცხადა: **„მე ხელს ვუწყობ ნორვეგიელი ხალხის საყო-ველთაოდ აღიარებულ დამოუკიდებლობას, თვითგან-საზღვრას და სუვერენიტეტს. მე არ განვიხილავ ჩემს თავს როგორც პაციფისტს, მაგრამ მე განუხრელი ან-ტიმილიტარისტი ვარ."**

რა იდეალური ჯარიც არ უნდა შევქმნათ, რუსეთი-საგან მიტაცებულ სოხუმსა და ცხინვალს ვერ დავიბ-რუნებთ, თურქეთის მხრიდან აჭარის და სამცხე-ჯა-ვახეთის ხავერდოვან მითვისებას წინ ვერ აღვუდგე-ბით, სომხეთის მოსალოდნელ გააქტიურებას ვერ შე-ვეწინააღმდეგებით, რადგან მას ამერიკაში ძლიერი პოლიტიკური და ეკონომიკური ლობი ჰყავს. ანტიტე-რორისტების არმიის ჩამოყალიბება საქართველოს გე-ოპოლიტიკური მდებარეობის გამო ქვეყანას ისლა-მურ სამყაროს დაუპირისპირებს და ტერორიზმის ობიექტად აქცევს. ისრაელს პატრონი ჰყავს, ჩვენ კი „უპატრონოები" ვართ.

ასეთ პირობებში, ყველა „უპატრონო" მცირე ერ-სა-ხელმწიფოს, მათ შორის ქართულ ერ-სახელმწიფოს, გადარჩენის გზა სხვა „უპატრონო" ერ-სახელმწიფო-ებთან კონსოლიდაციაა, რადგან მსოფლიოს მართავს გაეროს უშიშროების 5 მუდმივი დიდი ერ-სახელმწი-ფო. ამიტომ ჩვენი საგარეო ვექტორი გაეროს გენერა-ლური ასამბლეის დონეზე უნდა გადავიყვანოთ, სადაც დიდ უმრავლესობას „უპატრონო" ერ-სახელმწიფო-ები წარმოადგენენ.

— სოხუმისა და ცხინვალის რაიონების დაბრუნების რა მოდელს აძლევთ უპირატესობას?

— ასეთი მოდელი ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ „გვაჩუქა". ჩვენ კი 4 წელია, სირაქლემას პოზა გვიკავია.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2009 წლის 28 იანვრის რეზოლუციის თანახმად: **„ევროპის საპარლამენტო ასამბლეა თვლის, რომ ახალი სამშვი-დობო ფორმატის შექმნასა და კონფლიქტურ რეგიო-ნებში მშვიდობის მხარდასაჭერად სამშვიდობო ძალების ინტერნაციონალიზაციას დიდი მნიშვნელობა აქვს სტა-ბილურობისა და უშიშროებისათვის, და ამ რეგიონე-ბის სტატუსთან დაკავშირებული არ შეიძლება იყოს".**

მთავრობის თავმჯდომარეს ვეკითხები:

ბატონი ბიძინა, სოხუმისა და ცხინვალის რეგიონებში ლტოლვილთა დაბრუნების მოტივით გაეროს ევრო-პის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2009 წლის 28 სექტემბრის რეზოლუციის ამ პუნქტის ამოქმედების საკითხს მთავრობა გენერალური ასამბლეის წინაშე რატომ არ აყენებს?

ლტოლვილთა დაბრუნების საკითხი ხომ მხოლოდ გაეროს გენერალური ასამბლეის გადასაწყვეტია და არა უშიშროების საბჭოსი?

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წესდე-ბის თანახმად, ლტოლვილთა დაბრუნება ხომ არა პო-ლიტიკური, არამედ ჰუმანიტარული და სოციალური საკითხია?

სოხუმისა და ცხინვალის რაიონებში ლტოლვილთა დაბრუნება ხომ საქართველოს ტერიტორიული მთლი-ანობის და სუვერენიტეტის აღდგენის უმთავრესი გა-რანტიაა?

ამას ხომ არა მე, არამედ საქართველოს მეცნიერე-ბათა ეროვნული აკადემიის ორი აკადემიკოსი და 52 პროფესორი 2004 წლიდან ითხოვს?

დამიჯერეთ! ნუ აყვებით თქვენს უბეში მოსისინე ზო-გიერთ კონსულტანტს!

კიდევ ერთხელ გადავიკითხოთ წმინდა ილია მართლის „ბედნიერი ერი".

ნინო ბაკურაძე

◎ წარდგინება

ზაზა ხატიაშვილი: ადვოკატობა ყველაზე პრესტიჟულ, ყველაზე მიმზიდველ პროფესიად უნდა ვაქციოთ

სასტუმრო „თბილისი-მერიოტში" საქართველოს ადვო-კატთა ასოციაციის ჟურნალის „ადვოკატისა" და საქართვე-ლოში იურიდიული პროფესი-ის განვითარების შესახებ პროგრამის წარდგინება გაი-მართა, რომელიც გახსნა ადვო-კატთა ასოციაციის თავმჯდო-მარემ **ზაზა ხატიაშვილმა,** ასევე მართლმსაჯულების დამოუკი-დებლობისა და სამართლებრი-ვი გაძლიერების პროექტის (JILEP) ხელმძღვანელმა **ჰერ-ბერტ ბოუმანმა**.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრმა და საგანმანათ-ლებლო საბჭოს თავმჯდომარემ **ზვიად კორძაძემ** ჟურნალისა და განგრძობადი იურიდიული გა-ნათლების მიმდინარეობის შე-სახებ ანგარიში წარმოადგინა.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელ-მა საბჭომ, ასოციაციის წესდე-ბის 151 მუხლის შესაბამისად, 2012 წლის თებერვლიდან ყვე-ლა პრაქტიკოსი ადვოკატისთ-ვის საქართველოში დაადგინა განგრძობადი იურიდიული გა-ნათლების სისტემის ამოქმედე-ბა. განგრძობადი იურიდიული განათლება გულისხმობს საგან-მანათლებლო და საკვალიფიკა-ციო მოთხოვნების არსებობას ადვოკატებისათვის, რომლის მიზანია ადვოკატის პროფესი-ული უნარ-ჩვევების და ცოდნის გაღრმავება. განგრძობადი იურიდიული განათლების კონ-ცეფციის საფუძველზე, პროექ-ტის „ეთიკა განგრძობად იური-დიულ განათლებაში" ფარგ-ლებში, ადვოკატთა ასოციაცი-ის სასწავლო ცენტრმა ორგანი-ზება გაუკეთა 3500 ადვოკა-ტისთვის, თბილისსა და ქუთა-ისში ადვოკატთა პროფესიული ეთიკის შესახებ ტრენინგებს.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ გამოსცა პირველი პროფესიული ჟურნალი სახელ-წოდებით „ადვოკატი". ჟურ-ნალში მოცემულია ინფორმა-ცია ასოციაციის სიახლეებზე, აღმასრულებელი საბჭოს გა-დაწყვეტილებებზე, განგრძო-ბად იურიდიულ განათლებაზე.

წარდგინებას ესწრებოდნენ იუსტიციის მინისტრი **თეა წუ-ლუკიანი,** პარლამენტის თავმჯ-დომარე **დავით უსუფაშვილი,** პარლამენტის იურიდიულ სა-კითხთა კომიტეტის თავმჯდო-მარე **ვახტანგ ხმალაძე**.

იხ. 4 გვ.

◎ ინფორმაცია

აუცილებელია გაირკვეს, წინა ხელისუფლების დროს ვინ რა დანაშაული ჩაიდინა

სანამ ხალხს სამართლის ძებნა ქუჩაში დაუწყია, უმჯობესი იქნება ეს შენობაში მოხდეს, — ამის შესა-ხებ განცხადება ორგანიზაცია „ყო-ფილი პატიმრები — ადამიანის უფ-ლებებისთვის" ხელმძღვანელმა ნა-ნა კაკაბაძემ გუშინ ჟურნალისტებ-თან საუბრისას გააკეთა.

— ჯერ უნდა დადგინდეს დამნა-შავეები, შეფასდეს რეჟიმი და შემ-დეგ ხელისუფლებას შეუძლია ჰუ-მანური გადაწყვეტილების მიღება მათ მიმართ, თუმცა, დამნაშავეები აუცილებლად უნდა დასახელდეს. ჩვენ იმის მომხრე არ ვართ, რომ ყვე-ლა ციხეში ჩაჯდეს, მაგრამ უნდა გახდეს ცნობილი — ვინ რა დანაშა-ული ჩაიდინა და ეს უნდა გააკეთოს პარლამენტმა, — განაცხადა ნანა კა-კაბაძემ. იგი ყველას მოუწოდებს 19 მაისს სპორტის სასახლეში მივიდ-ნენ. აღნიშნულ ყრილობაზე ისინი წერილობით მიმართვას მიიღებენ და ამ მიმართვას ხელისუფლებას გადაუგზავნიან.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ თანასწორობა

ძალები საზოგადოებრივ ცხოვრებაში გააქტიურდნენ. როგორც წინასწარმეტყველებენ, მომავალში მატრიარქატის ერა დადგება, რაც ნამდვილად არ არის უსაფუძვლო. მდედრობითი სქესის წარმომადგენლები დღითი დღე აბსოლუტურად ყველა სფეროში ისეთივე მოქნილები, აქტიურები და წარმატებულები ხდებიან, როგორც მამაკაცები. და მაინც, გენდერული თანასწორუფლებიანობის პრობლემა კვლავ დაუძლეველია. თუნდაც პოლიტიკაში ან საკანონმდელო თუ აღმასრულებელ ხელისუფლებაში, აშკარად ქალბატონთა სიხალვათეა.

რამდენიმე დღის წინათ დასრულდა პროექტი „ლიდერთა სკოლა ქალებისთვის“, რომელიც საქართველოს ქალთა დემოკრატიის ქსელმა განახორციელა. რას გულისხმობს ეს პროექტი, რა მიზანს ემსახურება ორგანიზაცია და რა ხდება გენდერის თვალსაზრისით საქართველოში? — ამის შესახებ გვესაუბრება ქალთა დემოკრატიის ქსელის თავმჯდომარე ნინი ჭანტურია.

ნინი ჭანტურია: პოლიტიკაში ქალთა ჩართულობის დონე დაბალია

სკოლა ლიდერობის მსურველი ქალბატონებისთვის

— ქალბატონო ნინი, სანამ უშუალოდ პროექტს შევეხებოდეთ, თქვენი ორგანიზაციის შესახებ გვიამბეთ.

— 2006 წლის მარტში, ვაშინგტონში ჩაეყარა საფუძველი ჩვენს ორგანიზაციას. იქ აღნიშნავდნენ ქალთა დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას, რომელსაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული 35 ქალბატონი ესწრებოდა. მათ შორის ბრძანდებოდა საქართველოს წარმომადგენელი მაია მელიქიძე, რომელმაც შემდგომში WDN-ის საქართველოს გუნდი დააარსა. შეხვედრის მსვლელობისას მონაწილეებმა ისაუბრეს იმაზე, თუ რა დაბრკოლებებს აწყდებიან ქალები თავიანთ ქვეყნებში. ბუნებრივია, პრობლემა თითქმის ყველგან იყო, ამიტომაც დადგა ახალი საერთაშორისო ორგანიზაციის დაფუძნების აუცილებლობა, რომელიც გადაწყვეტდა გენდერთან დაკავშირებულ საკითხებს. ერთი წლის შემდეგ თბილისში დაარსდა ქალთა დემოკრატიის ქსელი.

— რა არის ამ ორგანიზაციის ძირითადი ფუნქცია და, რა თქმა უნდა, მიზანი?

— ჩვენი ქსელის მთავარი მისია — ეს არის ქალების ერთმანეთთან დაკავშირება და მათი შთაგონება, თავიანთ კოლეგებს გაუზიარონ გამოცდილება მთელ მსოფლიოში, დაეხმარონ ერთმანეთს ლიდერობის უნარ-ჩვევების განვითარებაში. სწორედ ამ მიზნით ქალთა დემოკრატიის ქსელი ახორციელებს სხვადასხვა პროგრამას.

— აინტერესებთ თუ არა ასეთი პროექტები ქალებს, რამდენად აქტიურობენ?

— საბედნიეროდ, ძალიან დიდ ინტერესს იჩენენ. უნდა გითხრათ, რომ ხანდახან ვერ ვახერხებთ, რომ ყველა მსურველი ჩავრთოთ ჩვენს პროექტში, რადგან ამ მხრივ შეზღუდულები ვართ. ჩვენ ვთანამშრომლობთ პარლამენტთან, პოლიტიკურ პარტიებთან, არასამთავრობო თუ სამთავრობო ორგანიზაციებთან, უნივერსიტეტებთან, საჯარო სკოლებთან. განსაკუთრებით აქტიურობს ახალგაზრდა თაობა, ახალგაზრდები ძალიან მიზანდასახულები არიან.

— თქვენს პროექტებში რაზე კეთდება ძირითადი აქცენტი, რას გულისხმობს ლიდერობა, რომელი უნარ-ჩვევების განვითარებას?

— ნებისმიერი საქმის მართვას ეფექტიანად და დემოკრატიულად. სამოქალაქო თუ პოლიტიკური თემები მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა უნარ-ჩვევების განვითარება, ამომრჩეველთან მუშაობა, ეკონომიკური განვითარება, მართვის განვითარება, კომუნიკაციის უნარი, კოალიციების მშენებლობა, კამპანიის მართვა თუ სხვა.

— როგორც ვიცით, თქვენ მართავთ ყოველწლიურ კონფერენციებს.

— დიახ, ქალთა დემოკრატიის ქსელი ატარებს ორ ყოველწლიურ კონფერენციას: შეერთებული შტატების სახელმწიფო სასწავლო ტურს ვაშინგტონში და ევროკავშირის სასწავლო ტურს ბრიუსელში, რომლებშიც მონაწილეობენ ჩვენი პროექტების ყველაზე აქტიური წევრები. ამ დროს ეწყობა შეხვედრები შეერთებული შტატებისა და ევროპის პოლიტიკურ ლიდერებთან, პოლიტიკურ მოღვაწეებთან, არა მარტო ქალებთან. და, რა თქმა უნდა, ხდება გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება.

— ალბათ, ძალიან საინტერესო შეხვედრები იმართება...

— უდავოდ. ასევე უზრუნველვყოფთ მცირე გრანტების პროგრამას, რომელსაც რესპუბლიკური ინსტიტუტი IRI აფინანსებს. ეს ეწყობა რეგიონალური პარტნიორებისთვის, არაკომერციული ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ქალთა როლის გაზრდაზე აქტიურად მუშაობენ. ჩვენ ასეთ პარტნიორებს ვარჩევთ კონკურსის წესით და მათ გადაეცემათ 50 000 დოლარამდე თანხა ერთწლიანი პროექტებისთვის.

— ქალბატონო ნინო, როგორც ვიცით, გაიცემა საკმაოდ სოლიდური ჯილდოც.

— ეს არის ჯეინ ჯ. კირპატრიკის ჯილდო — ხსოვნა IRI-ის გამგეობის წევრისა და პირველი ქალისა, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამერიკის ელჩის რანგში მსახურობდა. ჯილდო გადაეცემა იმათ, ვისაც დიდი წვლილი მიუძღვით ქალთა პოლიტიკური და სამოქალაქო ჩართულობის ამაღლებაში.

— და რაც შეეხება პროექტს — ლიდერთა სკოლა ქალებისთვის. რა ხდებოდა ამ პროგრამის ფარგლებში?

— სანამ ამაზე მოგახსენებთ, აღვნიშნავ, რომ სხვა საინტერესო პროექტებიც გვქონდა. მაგალითად, „უფსკრული თაობათა შორის“, რომელიც თაობათა შორის მენტალურ და იდეოლოგიურ განსხვავებებს შეეხებოდა, ტრეინინგები უფროსკლასელებთან, სადაც სხვადასხვა პრობლემატურ თემებს შევეხეთ; „გახდი ერთი დღით ბავშვი“ — ამ პროექტის მიზანი იყო ბავშვთა სახლისთვის მატერიალური დახმარება. მოეწყო საქველმოქმედო კონცერტები, მოძრაობის თეატრის პერფომანსი, ფოტოებისა და ხელნაკეთობების გამოფენა-გაყიდვა და ა. შ.

„ლიდერთა სკოლა ქალებისთვის“ იყო ორწლიანი პროექტი, რომელიც გავაკეთეთ თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და თელავში. ჩემს გარდა პროექტის კოორდინატორები იყვნენ ნათია შეყილაძე, მარიამ ჩახვაძე, ნინო შალამბერიძე.

იქიდან გამომდინარე, რომ ქალთა ჩართულობის დონე პოლიტიკაში არის ძალიან დაბალი, ჩვენ გადავწყვიტეთ, ახალგაზრდა ქალებისთვის მიგვეცა საშუალება, უფრო დეტალურად გაცნობოდნენ პოლიტიკურ იდეოლოგიებს და დაუფლებოდნენ ლიდერობის უნარ-ჩვევებს. პროექტში მონაწილეობდნენ ქალბატონები სხვადასხვა პარტიებიდან, უნივერსიტეტებიდან, ორგანიზაციებიდან. მათ ჩაუტარდათ ტრენინგი თემებზე: თუ რა არის პოლიტიკა, პოლიტიკური იდეოლოგიები, სახელმწიფო მართვის სტრუქტურა, დემოკრატია, ლიდერობა, ფონდების მოძიება, საზოგადოებასთან ურთიერთობა და სხვა.

— ეს ეტაპი დასრულდა. თუ გეგმავთ პროექტის გაგრძელებას?

— ვინაიდან ძალიან დიდი იყო დაინტერესება, ვფიქრობთ, მსგავსი პროგრამა აუცილებლად გავაგრძელოთ. იქამდე მაისში ვატარებთ დიდ კონფერენციას და იმედი გვაქვს, ასე ნაბიჯ-ნაბიჯ შევუწყობთ ხელს ქალთა გააქტიურებას. სასიხარულოა, რომ გასულ წლებთან შედარებით ახალ პარლამენტში გაცილებით მეტი ქალბატონია წარმოდგენილი, თუმცა, ჩვენი მიზანია, ეს რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდოს; სასურველია, 30 პროცენტამდე მაინც. ასეთი მაჩვენებელი აქვს შვედეთს. ის კი მოწინავე ქვეყანაა გენდერის კუთხით.

ესაუბრა
ნია ფიფია

◎ წარდგინება

ზაზა ხატიაშვილი: ადვოკატობა ყველაზე პრესტიჟულ, ყველაზე მიმზიდველ პროფესიად უნდა ვაქციოთ

(მესამე ბეჭედი) **დავით უსუფაშვილმა** სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას, წარმატება უსურვა აღნიშნულ ჟურნალს: **„ამ საქმეს განვიხილავ ერთ-ერთ მნიშვნელოვან წამოწყებად, იმ მრავალ საქმეს შორის, რომელიც უკვე დაწყებულია და, დარწმუნებული ვარ, კიდევ ბევრ ასეთ საინტერესო ინიციატივას განახორციელებს ადვოკატთა ასოციაცია, რომელსაც ევალება პროფესიის კიდევ უფრო განვითარება და სრულყოფა“,** — განაცხადა დავით უსუფაშვილმა. მან ისაუბრა ადვოკატის რთულ და საჭირო პროფესიაზე, რომელიც მრავალ წინააღმდეგობას აწყდებოდა სხვადასხვა იდეოლოგიის პირობებში.

„საკუთარ თავს ხშირად ვეკითხები, რატომ გავხდი იურისტი. წლების განმავლობაში გავაცნობიერე, რომ თუ ვინმე მინდა ვიყო, მინდა ვიყო ადვოკატი“, — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ და აღნიშნა, რომ კანონის უზენაესობა თუ არ დამკვიდრდა, რომელი ხელისუფლებაც არ უნდა იყოს ქვეყანაში, ერთ მოჯადოებულ წრეზე ვიტრიალებთ.

გავესაუბრეთ ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს **ზაზა ხატიაშვილს.** მისი აზრით, წარდგინება მნიშვნელოვანია, რადგან ადვოკატის პროფესია კიდევ უფრო პრესტიჟული გახდება და უფრო დაცული იქნება სამოქალაქო საზოგადოება: „აქ დაიბეჭდება განგრძობადი იურიდიული განათლების კონცეფცია, სადაც ადვოკატებს ექნებათ ვალდებულება, განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში, გაიარონ იურიდიული განათლების კურსი, გაეცნობიან ეთიკის სტანდარტებს, დაიბეჭდება ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებები. და ერთიანი სტანდარტი ჩამოყალიბდება იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ადვოკატი, რომ მან უპასუხოს სამოქალაქო საზოგადოების ნებისმიერ მოთხოვნას. ეს არის აუცილებელი მოთხოვნა. ჩვენ ადვოკატი ყველაზე პრესტიჟულ, ყველაზე მიმზიდველ პროფესიად უნდა ვაქციოთ.

— რა პერიოდულობით გამოიცემა ჟურნალი?

— კვარტალში ერთხელ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ადვოკატთა ასოციაციამ ნებისმიერ ოფისს პირადად მიუტანოს ჟურნალი უფასოდ. ვფიქრობ, რომ ადვოკატთა კორპუსი ადვოკატთა ასოციაციის ამ ძალისხმევას დააფასებს და ყველა იმ მოთხოვნას უპასუხებს, რომელიც სამოქალაქო საზოგადოებას ადვოკატთა მიმართ აქვს.

— რომელ მასალას გამოარჩევდით პირველ ნომერში?

— ეს არის ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება კიპრიანუ კვიპროსის წინააღმდეგ, ადვოკატის უფლებების უკანონოდ შეზღუდვის თაობაზე, მაგრამ ევროპის სასამართლომ დაადგინა, რომ ადვოკატთა უფლებების გაუმართლებელი შეზღუდვა — ეს არის ადვოკატთა უფლების დარღვევა და სახელმწიფომ ეს პროცესი ადვოკატებთან წააგო ევროპის სასამართლოში. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ადვოკატებმა ეს გადაწყვეტილება ნახონ, და თავისი თავი თავად უნდა დაიცვან. ჩვენ ამაში ხელს შევუწყობთ, მაგრამ ადვოკატმა უნდა ისწავლოს თავისი უფლებების დაცვა.

— თქვენ ფიქრობთ, რომ ამ თვალსაზრისით ისევ არ გაუმჯობესებულა ვითარება?

— ახალი ხელისუფლების პირობებში ჯერჯერობით გაუმჯობესება არ ჩანს, რადგან ადვოკატებზე ისევ ხდება ზეწოლა, ისევ არ აჩვენებენ კლიენტებს, ისევ ემუქრებიან... დღეს მაინც საპროკურორო სახელმწიფოში ვცხოვრობთ, თუ შეიცვლება რაიმე, კარგია, თუმცა, ამის სურვილს სახელმწიფოს მხრიდან ვერ ვხედავ.

თამარ შაიშმელაშვილი

◎ ალიან-ჩალიანი

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნა ნებაყოფლობითია

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნა ნებაყოფლობით პრინციპს დაეფუძნება და არ იქნება ათეულობით წლის წინათ არსებული კოლმეურნეობების ანალოგი. ამის თობაზე აგრარულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე გიგლა აგულაშვილმა პარლამენტის ორი კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე განაცხადა.

კომიტეტების წევრები სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ საკანონმდებლო პაკეტს იხილავენ, რომლის მთავარი არსი სასოფლო- სამეურნეო კოოპერატივების შექმნასა და მისი საქმიანობის ხელშეწყობაში მდგომარეობს.

როგორც საკითხის ინიციატორი განმარტავს, მეურნეობების გაერთიანება და კოოპერატივებში გამსხვილება საუკეთესო საშუალებაა სოფლის მეურნეობის სექტორში არსებული ვითარების გაუმჯობესებისთვის.

გიგლა აგულაშვილის თქმით, კოოპერირება ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის სფეროში არსებული რესურსების უკეთ და უფრო ეფექტურად გამოყენებას. უნდა აღინიშნოს, რომ საკანონმდებლო პაკეტის ფარგლებში გათვალისწინებულია საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანაც, რომლის მთავარი არსი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის საგადასახადო შეღავათების დაწესებაში მდგომარეობს. კერძოდ, 2017 წლის 1 იანვრამდე მოგების გადასახადისაგან გათავისუფლება სასოფლოსამეურნეო საქმიანობით მიღებული შემოსავალი. ასევე 2017 წლის 1 იანვრამდე ქონების გადასახადისგან თავისუფლდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მქონე პირის საკუთრებაში არსებული სასოფლო- სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ქონება, გარდა მიწისა, ასევე ასეთ პირებზე ლიზინგით გაცემული მოძრავი ქონება. ამავე პერიოდამდე ერთობლივ შემოსავალში არ აისახება და დაბეგვრისაგან გათავისუფლდება კოოპერატივის წევრთა შორის სასოფლო- სამეურნეო საქმიანობის შედეგად მიღებული პროდუქტის და მასთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდება.

პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის ინიციატივით მომზადებულ საკანონმდებლო პაკეტს კომიტეტი პირველი მოსმენით იხილავს. სავარაუდოდ, საკითხი პირველი მოსმენით მომავალი კვირის პლენარულ სხდომაზე გავა.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ელიზბარ ჯაველიძე:

ნაციონალური მოძრაობა ისევე უნდა აიკრძალოს, როგორც ფაშიზმი - გერმანიაში!

მკვლელებთან თანაარსებობა შეუძლებელი საქმეა

„ჩვენი ქვეყანა იყო ციხე და ვის რა ბედი ეწეოდა, არავინ იცოდა“, – ამბობს ჩვენთან ექსკლუზიურ ინტერვიუში აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე, რომელიც პოლიტიკური აქტიურობით ყოველთვის გამოირჩეოდა. ასეა ახლაც. იგი თავისი შეხედულებისა და მოსაზრებების შესახებ ჩვენს ინტერვიუში საკმაოდ ვრცლად გვესაუბრება:

– ნაციონალების ჭირი დამარცხდა, მაგრამ ბოლომდე – არა. მაღიზიანებს, როცა ყოველდღე ვუყურებ ტელევიზორში გოკა-მოკას, აკო-მაკოს... საშინელებაა ჩემთვის.

– ბატონო ელიზბარ, ნაციონალური მოძრაობის გაძლიერებას სწორედ „ქართულმა ოცნებამ“ შეუწყო ხელიო, თქვენ რას ფიქრობთ?

– დღევანდელი რეალობა და იმის ქადაგება, რომ საჭიროა კოჰაბიტაცია, ახალი ხელისულების ლიბერალური პოლიტიკის დამსახურებაა. გარკვეულწილად არსებულმა ხელისუფლებამ ამ პროცესს ხელი შეუწყო. მაგრამ საქმე ისაა, რომ კოჰაბიტაცია შეიძლება იყოს გამარჯვებულსა და დამარცხებულს შორის, მაგრამ თანაცხოვრება არაფრით არ შეიძლება შედგეს მკვლელსა და მაცოცხლებელს შორის, ქრისტესა და ბარაბას შორის. ეს არის მიუღებელი, გაუგონარი რამ. ნაციონალები 9 წლის განმავლობაში ანადგურებდნენ, სპობდნენ ქართველ ერს, ქართულ ცნობიერებას, ზნეობას, მართლმადიდებლობას, ეროვნულ თვითმყოფადობას, ქართულ გენს. მათი პოლიტიკა პირდაპირ იყო მიმართული ქართველი კაცის სულიერი და ფიზიკური გენოციდისკენ. მათი მიზანი იყო ჩვენი გადაჯიშება, გადაგვარება, აზროვნების სტრუქტურის შეცვლა... მე არაერთხელ მითქვამს, დამიწერია, რომ მიხეილ სააკაშვილს აძლიერებს და ამაგრებს ის, რაც საქართველოს ანგრევს. მიხეილ სააკაშვილი უარესი ტირანია, ვიდრე კალიგულა. ამ დროს კი ამერიკამ – ამ „დიდი დემოკრატიის სიმბოლო სახელმწიფომ“ სააკაშვილი დემოკრატიის შუქურად გამოაცხადა და დღესაც ამ პრინციპს იცავს. მთავარი ის არის, რომ მათ ამ საქმეში 4 მილიარდი ჩადეს და აქედან არც ერთი თეთრი ქართველი კაცის სასიკეთოდ არ დახარჯულა. ასეთია ამერიკის საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა. ის უფლებას აძლევდა სააკაშვილსა და მის ხელისუფლებას, ფული დაეხარჯა რაშიც უნდოდა, მოეპარა, მოეკლა, ოღონდ ერი და ქვეყანა არ გაეძლიერებინა. რუსეთი გაგთელავს თუ ამერიკა, რა განსხვავებაა?! თუმცა, რუსეთის მიერ ჩვენი გათელვა იმდენად არის მისაღები, რომ ის მართლმადიდებლობას მაინც არ გაიმეტებს. რაც ნაციონალებმა მოახერხეს და ზიანი მოგვაყენეს, რუსეთმა 200-წლიანი ბატონობითაც ვერ გააკეთა.

– ბატონო ელიზბარ, ალბათ, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ტრადიციების მივიწყებას ხელს უწყობს გლობალიზაცია, რომელსაც იერიში მიაქვს ერის თვითმყოფადობაზე...

– გლობალიზაციას რამდენიმე განზომილება აქვს. მაგალითად, ეკონომიკური გლობალიზაცია მისაღებია. მაგრამ ის პოლიტიკურ სფეროშიც შემოიჭრა ძალიან (ეს მასონების დამსახურებაა, რომლებიც ბოლო დროს მთელ მსოფლიოს მოედვნენ). მათი აზრით, უნდა შეიქმნას პლანეტარული იმპერია, რომელსაც ერთი გამგებელი ეყოლება და ეს იქნება ამერიკა. ამერიკის ჯარები დაახლოებით 130 ქვეყანაში დგანან. მოსახლეობა ყველგან უკმაყოფილოა, მაგრამ კმაყოფილნი არიან ამ ქვეყნის ხელისუფლანი, რომლებიც უსიტყვოდ ემორჩილებიან ამერიკას.

აქაც, 2003 წელს „ვარდების რევოლუციად“ მონათლეს ის მოვლენები (არადა, ეს იყო „შპრიცების რევოლუცია“). არც ერთმა დასავლეთის სახელმწიფომ ხმა არ ამოიღო, როცა პარლამენტის განდევნა სისხლის სამართლის დანაშაულია. მოვიდნენ ხელისუფლებაში ბანდიტები, ყაჩაღები, ამბობდნენ, ყველაფერი ჩვენია: კანონი, სამართალი, პოლიციაო. ამიტომ გამკვირვებია ამ ახალი კოალიციის, რატომ თამაშობენ დემოკრატობანას?!

– რა უნდა ქნან, თქვენი აზრით?

– დემოკრატია დღეს ყველაზე დაცლილი სიტყვაა, რომელმაც ამერიკაშიც ფასი დაკარგა. თუ ადამიანს ფული აქვს, დღეს ის არის დემოკრატი. დანტესეული ცნობიერების პირამიდის სათავეში იდგა ღმერთი, ახლა კი პრაქტიციზმის გამო დააყენეს ზეკაცი – ფულიანი კაცი და დაინგრა ეს პირამიდა. დღევანდელი საზოგადოება მუცლის ყურყუტს უფრო უგდებს ყურს, ვიდრე სულიერ ძახილს...

– რატომ დაუკავშირეთ ეს თვალსაზრისი კოალიციას, რისი თქმა გსურთ?

– მოგახსენებთ. უპირველესად, რაც მინდა ვთქვა, მსოფლიო დღესაც ქადაგებს, რომ სააკაშვილმა დემოკრატიულად გადასცა ხელისუფლებაო, არადა, ასე არ ყოფილა. ყველას კარგად გვახსოვს, რა ხდებოდა ხაშურში. რატომ არ გაახმაურა კოალიციამ ეს ამბავი?! და მეორეც, კოალიციაში არიან ძალები, რომელთაც საქართველო ეზიზღებათ...

– ვის გულისხმობთ?

– რესპუბლიკელებს. რით განსხვავდებიან ნაციონალებისგან ძმები ბერძენიშვილები, ხიდაშელ-უსუფაშვილი...

– მათი რეიტინგი დღითი დღე იზრდება, განსაკუთრებით უსუფაშვილი მოსწონს საზოგადოებას.

– ეს არის შეკვეთილი კვლევების შედეგი. რესპუბლიკელები ქადაგებენ იმავეს, რასაც ნაციონალები, ოღონდ უფრო შეფუთულად. არადა, ამ ნეოლიბერალიზმს გმობს მთელი მსოფლიო. ეს არის საშუალება – სისხლი გამოადინო სახელმწიფოს, ანუ დეგენერაციის პრინციპი. ამიტომაც ამბობენ, რომ ქვეყანას დეგენერატები უკეთ ანადგურებენ, ვიდრე ატომური ბომბიო. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ხელისუფლებაში გვყავდა ასეთი დეგენერატები, დაწყებული გიგა ბოკერიათი დამთავრებული თეა თუთბერიძით. მათ სათავეში იდგა სააკაშვილი. ეს რა თქვა კახეთში, აღდგომა რომ მოგვილოცა. არ იცითო, რომ აღდგომა ქრისტესი ნიშნავს სიკვდილისა სიცოცხლეზე გამარჯვებასო. თავდაყირა დააყენა მთელი ქრისტიანული მსოფლმხედველობა. ქრისტიანული მოძღვრება კი ამბობს „სიკვდილისა სიკვდილითა დამთრგუნველიო“. ეს არის დიდი რწმენა ჩვენი რელიგიისა. მაგრამ სააკაშვილის პოლიტიკა ქვეცნობიერად სწორედ მისი შეხედულებიდან გამოვიდა. ის სისხლზე დგას. ჯერ ერთი მას გურამ შარაძის სიკვდილი არ ეპატიება. მოკლეს ჟვანია, რომლის პოლიტიკასაც დიდ პატივს არ ვცემდი, ჩახოცეს ახალგაზრდა ბიჭები. ახლა მერაბიშვილი გამოდის და ჭკუას გვარიგებს, როგორ უნდა ვიყოთ ზნეობრივი ადამიანები. კაცი, რომელსაც ცოლისთვისაც ვერ მოუვლია...

– და მაინც, ავცდით მთავარს, რა ნაბიჯებს ითხოვთ კოალიციისგან?

– უნდა გასამართლდნენ სააკაშვილი და მისი იდეოლოგები. ნუთუ მარტო ახალაია არის დამნაშავე?! მაგრამ ივანიშვილს სიტყვას ვერ მიაწვდენ. რესპუბლიკელებმა ისე მოქსოვეს ბადე, რომ კრიტიკას არ აგებინებენ.

– ისე ჩანს, რომ არც ივანიშვილს მოსწონს კრიტიკა...

– არ ვიცი. მე რაც ვიცი, თუ მას შეეშალა ადამიანთან ურთიერთობაში, მაშინვე ბოდიშს მოიხდის. არ უყვარს გამოჩენა. 60-მდე ტაძარი ააშენა, ქველმოქმედია, მშიერი ინტელიგენცია რომ ვიყავით, მან გადაგვარჩინა. მაშინ მე მისი სურათიც ვერ ვნახე, მაინტერესებდა, ვინ იყო კაცი, რომელიც ამდენ სიკეთეს აკეთებდა...

– მოგწონთ ის, როგორც პოლიტიკოსი?

– ის არის წნეხის ქვეშ. ერთი მხრივ, დასავლეთისა და ამერიკისა, რომლებიც კოჰაბიტაციას უკიჟინებენ. ჩემი აზრით, უნდა აღიკვეთოს ძალა, რომელიც პარლამენტშია ნაციონალების სახით. ისინი ისევე უნდა აიკრძალონ, როგორც ფაშიზმი გერმანიაში. თუ არადა, ქართული ოცნება ძალიან ცუდ დღეში აღმოჩნდება.

– მალე იქნება საპრეზიდენტო არჩევნები. ორივე პარტია გააქტიურდა და სერიოზული ბრძოლისთვის ემზადება.

– მთავარი ისაა, რომ კონსტიტუციამ დაღუპა საქართველო. სააკაშვილს ისე მოარგეს იგი, როგორც ჩოხა. სწორედ ამან აქცია ტირანად.

– კონსტიტუცია შეიცვალა და პრეზიდენტს ჩამოერთვა უკიდეგანო ძალაუფლება...

– გადაულოცეს პრემიერ-მინისტრს. ივანიშვილი ამბობს, რომ მალე წავა. მერე ვინ მოდის, ვის ანიჭებ ამდენ ძალაუფლებას?! ამიტომ პრეზიდენტმა უნდა შეძლოს დაბალანსება. ის უნდა იყოს გონიერი, გამოცდილი, პრინციპული.

– თქვენ ვის მიიჩნევთ ასეთად?

– ჩემი პოზიცია ცნობილია. ეს არის ნინო ბურჯანაძე, რომელიც გამოირჩევა თავის ზნეობრიობით...

– ის ხომ „ვარდების რევოლუციის“ სულისჩამდგმელია?

– დამისახელეთ ისეთი ვინმე, ვინც ამა თუ იმ პარტიას მხარს არ უჭერდა. ეს არ არის მთავარი. ის არის მებრძოლი, შეუპოვარი, გამჭრიახი პოლიტიკოსი და ეს 26 მაისის მოვლენებმა კარგად გამოავლინა. რაც მთავარია, ქალბატონს უნდა უყვარდეს თავისი მშობლები, შვილები, ოჯახი, პატივს სცემდეს მათ. ეს შინაგანად თუ არა აქვს, სხვაგვარად სამშობლოს ვერ შეიყვარებს.

ნაძალადევის რაიონში ამ არჩევნებზე მხარს ვუჭერდი კახა კუკავას, რადგან ის გაცილებით მეტ სარგებელს მოუტანდა ქვეყანას, ვიდრე კორძაია, რომელიც მხარს უჭერს ერთსქესიანთა ქორწინებას. მას მხარს უჭერდა საია თუ „მაია“. ეს არის არასამთავრობო, რომლის მეშვეობითაც უნდა ამერიკას ჩვენთან რეჟიმის დამყარება. რას მიკეთებენ ეს 5-კაციანი ორგანიზაციები. სულ 200-მდეა და აქედან 400-ზე მეტს ამერიკა აფინანსებს. ვითომ ეკლესიას აკონტროლებენ, კი მაგრამ მითხარი, შე გათახსირებულო, შენ სად მიგაქვს ფული, სად ხარჯავ და რაში?! საიამ დადო 26 მაისის დასკვნა, რომ ხელისუფლების ქმედება იყო გადაჭარბებული, მაგრამ სამართლიანი. ჩაგვხოცეს და ეს იყო სამართლიანობა? ლუკა კურტანიძემ სიტყვით თქვა „გავატყავებო“ და აყვირდნენ არასამთავრობოები, მაშინ სად იყვნენ, როცა ლამის ცოცხლად გაატყავეს კურტანიძე?! ამიტომ მეზიზღებიან ეს არასამთავრობოები. ისინი აგენტები არიან, ფულს ამერიკიდან იღებენ და საქართველოს წინააღმდეგ იბრძვიან.

ახლა კიდევ ნაციონალები გამოვიდნენ და ახალი ეროვნული მოძრაობა უნდა დავიწყოთო. ამ მკვლელებმა, ერის მოძულეებმა არ შეწყვიტეს ხალხის შეურაცხყოფა. დაანგრიეს სკოლები, უნივერსიტეტები, აკადემია. გიგი თევზაძე ამტკიცებს, რეიტინგით პირველია ჩვენი უნივერსიტეტიო. ეს როგორ უნდა თქვას, როცა თუთბერიძე ჰყავს პროფესორად, ეს სულით მახინჯი დედაკაცი.

– ახლა რა ხდება განათლებაში, მოგწონთ დვალის კომისიის კონცეფცია?

– ამ კონცეფციაში ის ახალს არაფერს ამბობს. თუმცა, ისეთი ქართულით არის დაწერილი, თმები ყალყზე დამიდგა. ეს კაცი შეიძლება შავ ხვრელებს სწავლობს, მაგრამ მის თვალებშიც ასეთივე სიბნელეს ვხედავ. მას წარმოდგენა არა აქვს ქართულ განათლებასა და მეცნიერებაზე. ჩემი აზრით, მეცნიერება მხოლოდ მაშინ გადარჩება, თუ მას მისცემენ დამოუკიდებლობას.

– მინისტრ მარგველაშვილზე რას ფიქრობთ?

– თავიდან სკეპტიკურად შევხვდი მის დანიშვნას. თუმცა, ცუდ მინისტრად არ მესახება. უფასო სახელმძღვანელოების პროგრამა უდავოდ კარგი საქმეა, მაგრამ უნდა შეიცვალოს სახელმძღვანელოების დონე. ახლა გამოდიან გამომცემლები და ჩივიან. თურმე 50 მილიონს პარავდნენ ქართველ ხალხს ყოველწლიურად, ხმას როგორ იღებენ?! მინისტრმა პრინციპულობა გამოიჩინა, როდესაც ბენდუქიძეს თავისი ადგილი მიუჩინა...

– მოკლედ, საკმაოდ ვრცელი ინტერვიუ გამოვიდა. მაგრამ მინდა, ბოლოს კვლავ პოლიტიკას მივუბრუნდეთ. თქვენ როგორ ფიქრობთ, საჭიროა თუ არა მესამე ძალის გააქტიურება. ან ვისა აქვს ამის რესურსი, რომელ ძალას?

– არა მესამე, არამედ ახალი ძალა. მეორე ძალა – როგორც ნაციონალებს უწოდებენ, უნდა ამოიშანთოს. ესენი არიან ყაჩაღები და მკვლელები, რომლებიც უნდა გასამართლდნენ. ჯერჯერობით ერთ-ერთი ძალა არის „ქართული ოცნება“ და მეც ამის იმედი მაქვს. მაგრამ მე მხარს ვუჭერ ივანიშვილს.

– და არა კოალიციას?..

– დიახ. არა კოალიციას. ჩემი რჩევა ასეთია. დანიშნონ ხელახალი საპარლამენტო არჩევნები, დაშალოს ივანიშვილმა კოალიცია და „ოცნებას“ ჩაუდგეს სათავეში. მაშინ ვნახოთ, ვინ მოხვდება პარლამენტში. აი, აქ გამოიჩენს თავს ახალი ძალაც...

ესაუბრა
თეა მოსია

◎ ალიან-ჩალიანი

ჩვენ არ გვსურს ქვეყანაში ქალაჩუნა ბიჭები და მამალი გოგონები!

ათამდე მოქალაქემ 17 მაისს ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული აქცია გააპროტესტა. აქცია – 11.00 საათზე დაიწყო, მას შემდეგ რაც სასტუმრო „რედისონში“„იდენტობის“ ბრიფინგი დასრულდა, რომელიც 17 მაისს დაგეგმილ ღონისძიებებს უკავშირდებოდა.

აქციის მონაწილეები აპროტესტებდნენ თავად ბრიფინგსაც, რადგან მიაჩნიათ, რომ ისინი პროპაგანდას გარყვნილებას უწევენ. ასევე უპირისპირდებიან და აპროტესტებენ 17 მაისს რუსთაველზე დაგეგმილ აქციას. მათი თქმით, რეალურად ეს აქცია ჰომოფობიის წინააღმდეგ არ არის მიმართული, არამედ ისინი აპირებენ გეიაღლუმის ჩატარებას რუსთაველზე, იქ სადაც ქართველების სისხლია დაღვრილი. – ჩვენ არ გვსურს ქვეყანაში ქალაჩუნა ბიჭები და მამალი გოგონები, – აცხადებდნენ აქციის მონაწილეები. მათივე თქმით, ისინი რამდენიმე დღეში გამართავენ ბრიფინგს და 17 მაისის აქციასთან დაკავშირებით თავიანთ სამომავლო გეგმას საზოგადოებას გააცნობენ.

როგორც ისინი აცხადებენ, მშვიდობიანი ფორმით აპირებენ „იდენტობის“ ღონისძიება გააპროტესტონ და არ აპირებენ ცემა-ტყეპას, რადგან ეს მათ წისქვილზე დაასხამს წყალს. აქციის მონაწილეებს თან ჰქონდათ პლაკატები – „დაიცავით ზნეობა“, „დემოკრატია უზნეობას არ ნიშნავს“, „დაიცავით თქვენი შვილების უფლებები“. სასტუმრო „რედისონთან“ მობილიზებული იყო საპატრულო პოლიცია.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„...დე, მიუბოძე სხვასაც წყალობა“

ჯემალ აჯიაშვილი - მუდმივი თანამედროვე

ნაახალწლევს ჩვენი საერთო მეგობარი შემხვდა - ცუდად არისო, მითხრა, ალბათ, გაზაფხულამდე ვერ გაატანსო. ახლა სად არის-მეთქი, ვკითხე. ისევ ისრაელშია, ცდას არ აკლებენ, მაგრამ საქვეყნოდ ცნობილი ექიმებიც კი უძლური არიანო...

შემთხვევით გავიცანი. იმ ღამეს თითქმის არ გვიძინია - კუპეში ოთხნი ვისხედით: ის — ცნობილი პოეტი და მთარგმნელი, მე და ორიც სხვა.

გატაცებით საუბრობდა პოეზიაზე. სულგანაბული ვუსმენდით ... დილით სადგურზე დავშორდით ერთმანეთს.

გავიდა ხანი. ჯემალ აჯიაშვილი არაერთხელ მინახავს: იშვიათად — რუსთაველზე, უფრო ხშირად — ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე.

ისევ ბედნიერმა შემთხვევამ შეგვახვედრა, ისევ კუპეში — მე და ბატონი ჯემალი, როგორც სენაკელები, თბილისამდე ერთი მატარებლით ვმგზავრობთ. გვიანი ღამეა. გარეთ ყინავს, მუხლამდე თოვლი დევს და „ტელეგრაფის მავთულებზე, როგორც კარგი მუსიკოსი, ქარი უკრავს ცივი ზამთრის უსახელო მელოდიას“...

ფიქრებიდან მეგობრის ხმამ გამომაფხიზლა. თურამე შევიტყვე, გაგაგებინებო, მითხრა და დამემშვიდობა. ისევ მოგონებებში ჩავიძირე.

...იმ ღამესაც გვიანობამდე არ გვიძინია — დიდხანს ვისაუბრეთ, პროფესიულმა ცნობისმოყვარეობამ წამძლია და არ მოვრიდებივარ. სენაკის მეორე საშუალო სკოლაში ვსწავლობდიო, მითხრა.

— ქართულ ენა-ლიტერატურას ტერენტი ყიფიანი მასწავლიდა, შესანიშნავი პიროვნება და პედაგოგი. მეორე მსოფლიო ომში ტყვედ ყოფნისას გრიგოლ რობაქიძის რეკომენდაციით მისი ლექსები ევროპაში იბეჭდებოდა თურმე. ტერენტი მასწავლებელმა სკოლაში ლიტერატურული წრე ჩამოაყალიბა, ხელნაწერი ჟურნალიც გამოგვაშვებინა, სადაც პირველად გამოქვეყნდა ჩემი ლექსები ...

მას შემდეგ პოეზია ჯემალ აჯიაშვილის სულიერი მეგობარი და განუყრელი თანამგზავრი გახდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სპარსული ენა-ლიტერატურის სპეციალობის სტუდენტი მთარგმნელობითმა საქმიანობამ გაიტაცა. პირველად ომარ ხაიამის და რუდაქის პოეზიას გაეცნო. მოხიბლა „სპარსთა ენისა სიტკბომან“. შემდეგ აბდ-ორ-რახმან ჯამის ლექსები და ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ ნაწყვეტები თარგმნა, რომლებიც საუნივერსიტეტო გაზეთსა და ჟურნალ „პირველ სხივში“ გამოაქვეყნა. იქვე გაეცნო მკითხველი ძველეგვიპტური ლირიკისა და ძველებრაული პოეზიის საუკეთესო ნიმუშების ჯემალ აჯიაშვილისეულ თარგმანებს:

მზე აღმოხდების, მოილტვის ჩვენდა,
რა* მოგვიწოდებს, ძალთა მპყრობელი, —
რამეთუ მტვრით და უჩინო ჩრდილით არს
განჩინებულ ბოლო ყოველი;
და მზე დაჰხდების სამანთ მიღმა, ცას ეუფლება
ბინდი ვრცეული,
გასცდება მიჯნებს დინჯი ატუმი —**
ყრუ სიბნელისკენ პირმიქცეული.
მზე აღმოხდების, აღმოვალს შუქი,
აღმოენთების შარაზე ავლი,
დაჰხდების მზე და დასავლეთ კერძო გზას
დამაშვრალი ასრულებს მგზავრი.
გარდავლენ ერთნი, მოდიან კვლავ და ტანჯვით
იღვწიან მიწყივ რისადმე,
შესაქმით ვლენ და ილტვიან მზისკენ და მუშაკობენ
უკუნისამდე ...

(ნაწყვეტი XIV-XI საუკუნეების ძველეგვიპტური საგალობლიდან.

*. რა — მზის ღმერთი ძველეგვიპტურ მითოლოგიაში; **. ატუმი — საღამოს მზე).

* * *

ეჰა, თვალებში ისევ ცრემლია, გულში ნაღველი
ისევ ბრუნდება
და ჩემი თმები ქვრივის ტანივით შავი ფერებით
შეისუდრება.
ჰე, შეღებილო ჩემო ჭაღარავ,
შენთან ხელიხელ უნდა ვიარო,
შენა ხარ ჩემი სიბერის სევდა და სიჭაბუკის
სამგლოვიარო.

* * *

ბევრი ვარსკვლავის კრთომა მინელდა,
ბევრი დიდკაცი სიკვდილს მინებდა,
ვინც თვალუწვდენელ კოშკებს აგებდა და
ჩუქურთმებით აგვირგვინებდა,
და ვინ შეინდო, ვინ შეიფარა,
ვინ შეისმინა მისი მუდარა,
მხოლოდ სამარე არგუნა ბედმა, მხოლოდ ლოდი
და ცივი სუდარა ...
ილხინე, ძმაო, შესვი, შეირგე, დე,
მიუბოძე სხვასაც წყალობა,
თორემ ცხოვრება ქარის ქროლაა და
ქარავანის წარმავალობა.

რუდაქი
(„პირველი სხივი“, 1966, წიგნი VII)

ჯემალ აჯიაშვილი უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სამი წელიწადი თეირანსა და ისპაჰანში მუშაობდა საბჭოთა კავშირის საკონსულოში. ახლოს გაიცნო ირანელი ხალხი, მათი კულტურა, ლიტერატურა. ბევრს თარგმნიდა.

— საინტერესო შესვედრებიც მქონდა. - გაიხსენა ბატონმა ჯემალმა. — სპარსეთში მუშაობისას ერთმა ნაცნობმა მიმიპატიჟა ჩემგორდანში, რომელიც ისპაჰანიდან 60 კილომეტრზე მდებარეობს. გვიანობამდე შევრჩი მასპინძლებთან, რადგანაც დილით ადრე სამსახურში უნდა ვყოფილიყავი, იქ დარჩენა არ შემეძლო. არადა, უკვე შუაღამე იყო, ტრანსპორტიც არ მოძრაობდა, მასპინძელსაც არ ჰყავდა მანქანა. იძულებული გავხდით, ავტოსადგომისთვის მიგვემართა. ყარაული გავაღვიძეთ. ავუხსენი, საბჭოთა კავშირიდან ვარ-მეთქი. არ დამიჯერა — არ ჰგავხარო. მათი ცნობიერებით, ყველა საბჭოელი მხოლოდ რუსული იერსახისა უნდა ყოფილიყო. როცა ვუთხარი, თბილისელი ვარ-მეთქი, ერთბაშად შეიცვალა კაცი, გამოცოცხლდა. „ქართოლი ხარ, პატრონო?“ — მკითხა, ჩემდა გასაოცრად, ქართულად. ფერეიდნელი ქართველი აღმოჩნდა. გახარებულმა რამდენიმე ბიჭი გააღვიძა, ასევე ფერეიდნელები, „ადექით, პატრონია დიდი საქართველოდანო“. ყველანი გარს შემომეხვივნენ, კითხვები დამაყარეს. საუბრით რომ გული ვიჯერეთ, საუკეთესო მანქანა შემირჩიეს, მძღოლიც გამომაყოლეს და გამომისტუმრეს. ამის შემდეგ ყოველ პარასკევს (დასვენების დღე ჰქონდათ) ისპაჰანში ჩამოდიოდნენ და მოსაკითხიც მოჰქონდათ — ფერეიდნული ხილი ...

სპარსეთიდან დაბრუნების შემდეგ ჯემალ აჯიაშვილმა ჟურნალ „ხომლში“ თანამედროვე ირანელ პოეტთა ლექსებისა და შუასაუკუნეების ებრაული პოეზიის შედევრების თარგმანები დაბეჭდა. ორიოდე ნიმუშს აქვე გთავაზობთ:

შემუელ ჰანაგიდი

დაბადებიდან აღსასრულამდე

ტირილით ვიშვით,
ჭაპანს ვეწევით,
ჩვენვე გვამძიმებს ჩვენი წოდება;
კვლავ განტევებად განვეწესებით,
მუნ მიგვაცილებს სხვისი გოდება,
სიზმარი ესე
ხელის ცეცებით
ამ იწროებში მიებღოტება ...

მოშე იბნ ეზრა

სასაფლაო

გზაო, ვზივარ და დუმილით გიცქერ,
უჟმურ მიწაში თვლემენ ლანდები,
დუმს სასაფლაო ... სიკვდილის ფიცხელ
ხელს წარუხოცავს განძი რამდენი ...

იყუჩე, მგზავრო, უკეთურ მხრისკენ
შენც ამავე გზით წარემართები.

ჯემალ აჯიაშვილმა 1972 წელს დაამთავრა ესპანელი დრამატურგის ტირსო დე მოლინას ვრცელი დრამატული პოემის — „მწვანეშარვლიანი დონ ხილის“ გადმოქართულება. მერე შუა საუკუნეების იაპონელი პოეტი-დრამატურგის — მონძაემონ ჩიკამაცუს დრამატული პოემა — „შეყვარებულთა თვითმკვლელობა ციურ ბადეთა კუნძულზე“ — გაცნო მკითხველს: ჯერ ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ დაბეჭდა, შემდეგ ორჯერ (1980, 1991 წ.წ.) ცალკე წიგნებად გამოსცა. საგულისხმოა, რომ 1981 წელს მედეა კუჭუხიძემ ეს პიესა მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე დადგა. ამ ამბავმა იაპონელთა ყურამდეც მიაღწია ... სხვათა შორის, „შეყვარებულთა თვითმკვლელობა“ იაპონიის ფარგლებს გარეთ გასული საუკუნის 80-იან წლებში მხოლოდ თბილისში დაიდგა. სწორედ მაშინ ეწვია მოსკოვს იაპონიის ეროვნული თეატრი „კაბუკი“. ყოფილი საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტრო ყოველმხრივ ცდილობდა, სტუმართა გასტროლები მხოლოდ მოსკოვსა და ლენინგრადში გამართულიყო. „ეროვნული განძის“ ტიტულის მფლობელმა (თურმე, ასეთი წოდებაც არსებობს იაპონიაში) მსოფლიოში სახელგანთქმულმა მსახიობმა უტაემონმა საბჭოთა კულტურის სამინისტროს მესვეურთ დაუფარავად განუცხადა — თუ თბილისში, სადაც ჩიკამაცუს პოემა დაიდგა, ჩასვლის ნებართვას არ მოგვცემთ, გასტროლებზე საერთოდ უარს ვამბობთო. „ზემოთაც“ იძულებული გახდნენ, დაყაბულებულიყვნენ. „კაბუკი“ თბილისში ჩამოვიდა და მისი გასტროლები ჩვენს დედაქალაქში თეატრალურ ზეიმად იქცა. მაშინ ჩიკამაცუს თანამემამულეებმა მარჯანიშვილელები სტუმრად მიიწვიეს. მხოლოდ 1991 წელს მოხერხდა ქართული თეატრის იაპონიაში გამგზავრება. ერთი თვის განმავლობაში ტოკიოსა და სხვა ქალაქებში სპექტაკლს უამრავი მაყურებელი, მათ შორის -იაპონიის პრინციც კი დასწრებია და იაპონიის ტელევიზიითაც მრავალჯერ უჩვენებიათ.

მონძაემონ ჩიკამაცუს იაპონელ შექსპირსაც უწოდებენ, რადგან „შეყვარებულთა თვითმკვლელობა“ თავისი სიღრმით, პრობლემატიკითა და მწერლური ოსტატობით, მართლაც, მაღალმხატვრული ნაწარმოებია... ისე, თქვენ ნამდვილი შექსპირისთვისაც არ აგივლიათ გვერდი, — ვუთხარი ბატონ ჯემალს.

— ვთარგმნე და ჟურნალ „ცისკრის“ რამდენიმე ნომერში გაგრძელებით დაიბეჭდა უილიამ შექსპირის ვრცელი პოემა „პატივაყრილი ლუკრეცია“, რომელმაც პარიზის ქართულ-ევროპული ინსტიტუტის ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემია დაიმსახურა ...

ჯემალ აჯიაშვილის თარგმანებისადმი ინტერესს ზოგჯერ „უმაღლეს ეშელონებშიც“ იჩენდნენ და ყოველთვის როდი სწყალობდნენ. ამის ნათელი მაგალითია 1979 წელი. მაშინ, ყოფილ საბჭოთა კავშირში პირველად, ჩვენთან გამოიცა ჯ. აჯიაშვილის ნათარგმნი შუა საუკუნეების ებრაული პოეზიის ვრცელი კრებული, რომელშიც შევიდნენ: ესპანეთში მოღვაწე დიდი პოეტი, გრენადის სახალიფოს პირველი ვეზირი და მხედართმთავარი შემუელ ჰანაგიდი, ებრაელთა პლატონად წოდებული ფილოსოფოსი და პოეტი შელომო იბნ გებიროლი, მოშე იბნ ეზრა (ზოგიერთი მკვლევრის აზრით, შოთა რუსთაველი სწორედ ამ

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

პოეტს უნდა გულისხმობდეს, როცა წერს: „ამ საქმესა მემოწმების დიონისი ბრძენი, ეზროს“) , იეჰუდა ჰალევი, აბრაჰამ იბნ ეზრა (პოეტი და ფილოსოფოსი, ბიბლიის ბრწყინვალე კომენტატორი), იეჰუდა ალხარიზი (ჰაინრიხ ჰაინეს თქმით, ვოლტერამდე დიდი ხნით ადრე „წმინდა წყლის ვოლტერიანელი“), იმანუელ რომაელი (იგი იტალიაში მოღვაწეობდა. გადმოცემით, დანტე ალიგიერის მეგობარი და მისი „ღვთაებრივი კომედიის“ ანალოგიით ფილოსოფიური პოემის — „ჯოჯოხეთი და სამოთხის“ შემქმნელი). ამავე წელს საქართველოს ტელევიზიამ კრებულის გამოსვლას ვრცელი ლიტერატურული გადაცემა უძღვნა. იმ დროს, როცა საბჭოთა კავშირში ებრაული კულტურის ყოველგვარ წარმოჩენას სიონიზმის გამოვლინებად მიიჩნევდნენ, ამგვარი კრებულის გამოცემა და, მით უმეტეს, ტელევიზიით მისი აფიშირება ნამდვილი ვაჟკაცობა იყო. აკი, დიდი აჟიოტაჟიც გამოიწვია: ამერიკულმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ 1979 წლის 12 დეკემბრის ნომერში ამ მოვლენას ვრცელი სტატია მიუძღვნა. საკავშირო შესაბამისი უწყებებიდანაც სათანადო რეაგირებამ არ დააყოვნა. მართალია, წიგნებს ვერაფერი უყვეს, მაგრამ სატელევიზიო გადაცემა რამდენიმე წლით „დააპატიმრეს“. საქართველოს ტელევიზიამ იგი 1987 წელს გაიმეორა.

ჯემალ აჯიაშვილმა სხვადასხვა დროს თარგმნა და გამოაქვეყნა იტალიელი კლასიკოსის - კარლო გოცის დრამატული პოემა „ლურჯი ურჩხული“, რომელიც მარჯანიშვილის სახელობის თეატრში დაიდგა. ქართველი მკითხველი იცნობს ესპანელი ტირსო დე მოლინას დრამატული პოემისა და ავსტრიელი პოეტის — რაინერ მარია რილკეს სონეტების აჯიაშვილისეულ თარგმანებს. 1999 წელს გამოაქვეყნა კლასიკური ებრაული პოეზიის ერთბაშად ორი კრებული, თარგმნა დავით მეფის ფსალმუნები, რომლებიც პერიოდულად ჟურნალ „ცისკარში“ იბეჭდებოდა. მართალია, ქართველი მკითხველი მანამდეც იცნობდა ფსალმუნების უბრწყინვალეს ძველქართულ თარგმანებს, მაგრამ ბატონმა ჯემალმა განმიმარტა, ისინი ძირითადად ძველბერძნული ტექსტიდან — ეგრეთ წოდებულ „სეპტუაგინტადან“ უნდა მომდინარეობდესო.

— ეს ბერძნული ტექსტი „ბიბლიის“ საბოლოო კანონიზაციამდე არსებული ებრაული ტექსტიდანაა თარგმნილი. დღევანდელი „ბიბლიის“ ტექსტი კი, ეგრეთ წოდებული „მასორეთული“ (ტრადიციული), შედარებით გვიანაა დადგენილი, ამიტომ ძველი ქართული თარგმანი არც თუ იშვიათად იძლევა განსხვავებულ ვარიანტებს საბოლოოდ დადგენილ „მასორეთულ“ ტექსტთან. ამან განაპირობა ჩემ მიერ ფსალმუნების თარგმნა საბოლოოდ დადგენილი ებრაული ტექსტიდან. თანაც ეს საინტერესოა წმინდა კულტურული თვალსაზრისითაც. რვაასი წლის შემდეგ თანამედროვე ქართულ ენაზე ფსალმუნების თარგმნა ოდნავაც არ ნიშნავს კრიტიკულ დამოკიდებულებას ძველისადმი, რომელიც, თავის მხრივ, უნიკალური ლიტერატურული ძეგლია.

ერთხელ ბატონ ჯემალს ვკითხე, ქართველ და ებრაელ ხალხებს ოცდაექვსსაუკუნოვანი ისტორია აკავშირებთ ერთმანეთთან, რაც კიდევ უფრო მჭიდრო და მრავალმხრივი ხდება. თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ ჩვენი ხალხების შემდგომი ურთიერთობა-მეთქი.

— საქართველო და ქართველი ხალხი რომ სტუმართმოყვარეა, ამას მტკიცება არ სჭირდება, მაგრამ ქართველთა დამოკიდებულებას საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა მიმართ მარტო სტუმართმოყვარულს ვერ უწოდებ, იგი უფრო დიდია, რასაც მშობლიური სიყვარული ჰქვია, ამიტომაცაა, საქართველოდან წასულ ებრაელებს შენარჩუნებული აქვთ ბევრი ქართული ზნე-ჩვეულება; თითოეული მათგანის ყოფა-ცხოვრებაში იგრძნობა ქართული ყოფითი რეალიები - სუფრა და კერძები ქართული იციან, ქეიფისას ქართულადაც ცეკვავენ და მღერიან, ოჯახიდან ფხიზელ სტუმარს არ უშვებენ. ეს ყოველივე იმის დასტურია, რომ ისტორიულად ებრაელობა ყველაზე უკეთ ქართულ მიწას შეეთვისა, ამასთანავე, ყველაზე კარგად შეინარჩუნა თავისი ოდინდელი ტრადიციები და ცხოვრების მამაპაპეული ბიბლიური წესი. ნიშანდობლივია, ალბათ, ისიც, რომ ადგილობრივი მოსახლეობა აქედან ჩასულ ებრაელობას ქართველებს ეძახის. ისრაელში სენაკიდან წასული ბიჭები მოვინახულე.

— მუჭო რექ, დამირია-მაქი (როგორა ხარ, დამირია-მეთქი)? — ვკითხე ჩემი ბავშვობის მეგობარს, რომელიც უკვე ოცი წელიწადია ისრაელში ცხოვრობს.

— ონდეთი, სი მუჭო რექ, გოლუაფირო (ძლივძლივობით, შენ როგორა ხარ, გოლუაფირო)? — მეკითხება იგი.

— გილევხაბაკუქ-მაქი (დავრახუნობ-მეთქი). — ვუპასუხე. ასეა, აქედან წასულები ქართულ ენასაც არ ივიწყებენ, შეძლებისდაგვარად შვილებსაც ასწავლიან.

საქართველოს ებრაელობასა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობებზე 1988 წელს დავწერე პიესა-მონოლოგი „გამოიღვიძე, ქნარო“, რომელიც ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრის სცენაზე დადგა კოტე მახარაძემ. მისი პრემიერა თელ-ავივში შედგა და მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

საქართველოდან წასული ებრაელები ყოველმხრივ ცდილობენ, ისრაელის მოსახლეობას გააცნონ ქართული კულტურა, ხელოვნება, ისტორია. ამასთან დაკავშირებით იბეჭდება სტატიები, გამოდის წიგნები. 1986 წელს ქართულ-ებრაულად (მთარგმნელი მოშე დანიელი (დანიელაშვილი)) გამოიცა გრიგოლ რობაქიძის პასტორალი ხუთ კამარად „ლამარა“, 1988-1989 წლებში აბრამ მამისთვალოვის რედაქტორობით ასევე ქართულ-ებრაულ ენებზე ხუთ ტომად გამოქვეყნდა ძველი აღთქმის მოზრდილი ნაწილი, ეგრეთ წოდებული მოსეს ხუთწიგნეული (მთარგმნელები: აბრამ მამისთვალოვი, გერშონ ბენ-ორენი (წიწუაშვილი) და თამარ მამისთვალოვ-კეზერაშვილი).

ალბათ, იცით, რა ძნელებედობას გაუძლო პატარა ისრაელმა: სახელმწიფოებრიობის აღდგენიდან (1948 წ.) ექვსი უმძიმესი ომი გადაიტანა. ამის მიუხედავად, დღეს აყვავებული და ახლო აღმოსავლეთში ანგარიშგასაწევი სახელმწიფოა. ებრაელთათვის გასაგებია საქართველოს ტკივილი, ამიტომ თანაუგრძნობენ მას. მიაჩნიათ, რომ ქართული მიწა უნდა იყოს ერთიანი და განუყოფელი.

კარგია სხვათა თანადგომა, მაგრამ ქვეყნის აღორძინებისა და წინსვლის უმთავრესი ბერკეტი მაინც ჩვენი ხალხის ერთსულოვნება და მიზანსწრაფული გარჯაა. ბრძნული შეგონებაც ხომ ასე გვმოძღვრავს: „თუ არა მე ჩემთვის, მაშ, ვინ ჩემთვის?!“

ერთი ლეგენდაც მინდა გიამბოთ: ერთხელ ინკოგნიტოდ გადაცმულ ნაპოლეონს პარიზის ებრაულ უბანში რომ არავინ დახვედრია, სინაგოგისკენ აუღია გეზი. იქ მისულს უნახავს, მთელი ებრაელობა ტაძარში პირქვე დამხობილიყო და გოდებდა. მიზეზი უკითხავს. ჩვენს დანგრეულ ტაძარზე ვტირითო, უპასუხიათ (როგორც ცნობილია, ბიბლიური სოლომონის მიერ ძველი წელთაღრიცხვის მე-10 საუკუნეში აგებული იერუსალიმის დიდებული ტაძარი მსოფლიო ებრაელობისთვის უდიდეს სიწმინდეადაა მიჩნეული. ეს ტაძარი პირველად ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI საუკუნეში ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორმა, ხოლო მეორედ, აღდგენის შემდეგ, ჩვენი წელთაღრიცხვის 70 წელს რომაელთა მხედართმთავარმა ვესპასიანემ დაანგრიეს). გაკვირვებულ იმპერატორს ეგლა უთქვამს - მართლაც, მარადიული ერი ხართ, ორი ათასი წლის წინანდელ ამბავზე ისე გოდებთ, თითქოს ეს დღეს მომხდარიყოსო. ეს ლეგენდა იმის მიმანიშნებელია, რომ ებრაელებისთვის ქვეყნის ისტორია არასდროს ყოფილა მარტოოდენ ისტორია. „ყველა თაობაში თითოეულმა ებრაელმა ისე უნდა შეხედოს თავის თავს, თითქოს თავად გამოსულიყოს ეგვიპტელთა ტყვეობიდან“ (ებრაელებმა ბიბლიური მოსეს წინამძღოლობით 3500 წლის წინათ დაიხსნეს თავი ეგვიპტელთა ტყვეობიდან) — გვამცნობს ებრაული სიბრძნე. თუ თითოეული ქართველიც საკუთარ თავს დიდგორის ომის მონაწილედ მიიჩნევს, მაშინ საქართველოს ერთიანობის დაშლა და მისი დაჩოქება შეუძლებელია. ღრმად ვარ დარწმუნებული, საქართველო და ქართველი ხალხი იპოვის იმ ერთადერთ და ჭეშმარიტ გზას, რომელიც მას ფართო ასპარეზზე გაიყვანს. ამის გარანტია მისი ისტორიული გამოცდილება და ქართული კულტურის უნიკალურობაა...

იმ ჩვენი საუბრის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. არაერთხელ შევხვედრივართ ერთმანეთს — ხან სენაკში, ხან სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ უნივერსიტეტში, სადაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარალელურად ლექციებს უკითხავდა სტუდენტებს. გვისაუბრია ამ მთისა, იმ ბარისა, ჩვენს მშობლიურ სენაკზე, სრულიად საქართველოს სატკივარზე. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ჩვენი შეხვედრები პოეზიით იწყებოდა და პოეზიით მთავრდებოდა, რადგან ულექსოდ არ შეეძლო ლექსისთვის დაბადებულს, ქართულ მიწაზე უსაზღვროდ შეყვარებულს.

ჯემალ აჯიაშვილი წლეულს 5 იანვარს გარდაიცვალა. დაიხურა ერთი დიდი წიგნი პოეზიისა...

ვაჟა დანელია
2013 წელი.

◎ პატივგება

ვეტერანებმა ღირსეულად უნდა იცხოვრონ!

9 მაისს პრემიერ-მინისტრმა, თავდაცვის მინისტრმა და პარლამენტის თავმჯდომარემ უცნობი ჯარისკაცის საფლავი გვირგვინით შეამკეს. როგორც პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ვაკის პარკში შეკრებილ საზოგადოების წინაშე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, საქართველოს მთავრობა ყველაფერს გააკეთებს, რომ ომის ვეტერანებმა ღირსეულად იცხოვრონ.

„ფაშიზმზე გამარჯვება უდიდესი მოვლენა იყო მთელ მსოფლიოში, საქართველომ მასში უდიდესი მონაწილეობა მიიღო და უდიდესი დანაკლისიც განიცადა. ამ ომში ჩვენი 300 000-ზე მეტი თანამემამულე დაეცა. ჩვენმა თანამემულეებმა გამარჯვებამდე იბრძოლეს და გამარჯვებამდე მიიყვანეს ეს ომი. ძალიან ბევრი გმირი დაგვიბრუნდა, თუმცა, უფრო მეტი უსახელო გმირი გვყავს. პატივი მივაგოთ მათ ხსოვნას კიდევ ერთხელ. ისევე როგორც ყველა ცივილიზებულმა სამყარომ, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ვეტერანებმა ღირსეულად და ადამიანურად გააგრძელონ ცხოვრება“, — განაცხადა ივანიშვილმა.

ცრემლიანი დღესასწაული

ეს დღესასწაული არც აქამდე მოშლილა და არც სამერმისოდ მოიშლება. ერის ფარად ღირსეულად მდგარმა პატარძეულელმა, გურჯაანელმა, თელაველმა, სრულიად ჩვენი ულამაზესი მხარის კახეთის — ისევე, როგორც საქართველოს ყველა კუთხის შვილმა — ისევ გაიხსენეს ომის გმირები, ცრემლნარევი იყო ზეიმი, მაგრამ საამაყო, რადგან ძალადობაზე, კაცთმოძულეობაზე, ფაშიზმის დამარცხებაზე ზეიმობდნენ მაისის დღეებში. ვინც ამ პრინციპებს იზიარებს და, უწინარესად, პატივს მიაგებს იმ ვაჟკაცებსა და ქალბატონებს, ვინც სიცოცხლე შეალია ამ ბრძოლას, სამუდამოდ დარჩება ხალხის გულში.

ოთარ ტურაბელიძე,
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ს.ს.ი.პ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს განცხადება

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი ბუნებრივი რესურსების სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ ბუნებრივი რესურსების სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 578 581
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი გ.გულუას № 6 / 032 72 72 48
3	ელ-ფოსტა	Licenziebi@anr.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ობიექტის დამუშავებამდე უნდა მოიძებნოს და კანონმდებლობით დადგენილი წესით მოეწყოს არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზის ალტერნატიული ვარიანტი. ბ) ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში მოხსნილი ნიადაგის ფენა უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით. გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ღვანკითის მიმდებარე ტერიტორია, სილიკომანგანუმის (ტექნოგენური დანაგროვი) ქერქული ნარჩენების გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 4 250,88 ტონა).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ღვანკითის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	10 000 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 000 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	2 200 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 11 მაისის დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 11 ივნისს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 11 ივნისს 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 11 ივნისს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	1 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა
		გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 2		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ ბუნებრივი რესურსების სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 578 581
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი გ.გულუას № 6 / 032 72 72 48
3	ელ-ფოსტა	Licenziebi@anr.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სოფ. სადანძილეს მიმდებარე ტერიტორია, მდ. ზხერიმელას (I და II უბანი) ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 79 700 მ³ (I უბანზე - 14 100 მ³, II უბანზე - 15 600 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სოფ. სადანძილეს მიმდებარე ტერიტორია.
8	აუქციონის საწყისი ფასი	3 982 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	398,2 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	996 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 11 მაისის დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 11 ივნისს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 11 ივნისს 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 11 ივნისს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა
		გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 3		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ ბუნებრივი რესურსების სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 578 581
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი გ.გულუას № 6 / 032 72 72 48
3	ელ-ფოსტა	Licenziebi@anr.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ობიექტის დამუშავების შემდეგ უნდა მოხდეს ტერიტორიის რეკულტივაცია. ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). გ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფ. არხილოსკალის მიმდებარე ტერიტორია, „არხილოსკალის" ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 24 000 მ³.
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფ. არხილოსკალის მიმდებარე ტერიტორია,
8	აუქციონის საწყისი ფასი	4 174 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	417,4 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	1 035 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 11 მაისის დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 11 ივნისს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 11 ივნისს 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 11 ივნისს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	1 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა
		გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 4		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის		ს.ს.ი.პ ბუნებრივი რესურსების სააგენტო
გამცემი ორგანოს დასახელება		
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 578 581
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი გ.გულუას № 6 / 032 72 72 48
3	ელ-ფოსტა	Licenziebi@anr.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში მოხსნილი ნიადაგის ფენა უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით. ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხოსპიოს მიმდებარე ტერიტორია, „ხოსპიოს" ღორღის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 278 000 მ³.
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხოსპიოს მიმდებარე ტერიტორია,
8	აუქციონის საწყისი ფასი	10 000 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 000 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	2 200 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 11 მაისის დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 11 ივნისს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 11 ივნისს 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 11 ივნისს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	3 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა
		გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ არის ასეთი აზრიც

საყდრისის საიდუმლოება

25 წელზე მეტია, ვმუშაობ ბიბლიურ კაბალაზე: ეგვიპტის ტაროს არკანები, ჩინეთის იძინი, ევროპელთა რუნები. ჩემს მიერ აღმოჩენილია შუმერული კაბალა-„მე“-ს „ხვთაებრივი სჯულდებები“ — „წმინდა წესები“, „რომლებიც შექმნის დღიდან აწესრიგებდნენ სამყაროს მუდმივ მიმოქცევას“. კაბალა არის პირველ ადამიანთა ცოდნა სამყაროს მოწყობის და დროში ცვალებადობის შესახებ. კაბალას ცოდნა მსოფლიოში არსებული ანბანებიდან მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება. ქართული ანბანი სამყაროს გენეტიკური კოდია. კაბალას სამშობლო საქართველოს აღმოსავლეთი ტერიტორია ჰერეთია, რომელსაც ათასწლეულების წინათ ალვანეთად (მოგვიანებით ალბანეთად) მოიხსენიებდნენ, რომლის დედაქალაქიც ჯერ კიდევ სტრაბონის დროს (ახ.წ I ს.) იყო ქალაქი კაბალა. კაბალა-„კაბა-ალი“ ქართული სიტყვაა. ეს საკითხი მტკიცებულებაა იმისა, რომ ადამის პირველსაწყისი სამშობლო კავკასია და საქართველოა. ბიბლიური კაბალას სამშობლო საქართველოა. საქართველო ცივილიზაციის აკვანია.

ეს საკითხი დასტურდება შუმერშიც.

შუმერი არის უცნობი წარმომავლობის ტომი, რომელიც მივიდა შუამდინარეთში (დღევანდელი ერაყის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ძვ. წ. VI ათასწლეულში. ამას ადასტურებს იქ აღმოჩენილი სახვითი ხელოვნების ნიმუშები, ხოლო წერილობითი წყაროებით, შუმერი უკვე ძვ. წ. III ათასწლეულიდან წარმოჩინდება. მათ აქვთ საკმაოდ ღრმად კოსმოსური მითოლოგიური, ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მასალა.

გადავარჩინოთ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის უნიკალური ძეგლი

შუმერთა მითი „ენმერქარი და არათას ბატონი“ გადმოგვცემს ცნობას იმის შესახებ, რომ შუმერის ხალხი ტაძრების ასაშენებლად და მასში სალოცავ სიწმინდეებად აუცილებლად ქალღმერთ ინანას სამშობლოდან — წმინდა მიწიდან ჩატანილ ძვირფას ქვებს, ვერცხლის და ოქროს ნაკეთობებს იყენებდნენ, რომლებსაც ადგილზე ამზადებდნენ. მითი ამ ქვეყანას ერაყის ჩრდილოეთის 7 მთაგრეხილის იქით მოიაზრებს და მოხსენიებულია „არათა“-ს სახელით. ამავდროულად, მითის მიხედვით ეს ქვეყანა არის „უფლის წმინდა გულით არჩეული“ „დიდებულ წესთა ქვეყანა“, „სამოთხე“, სადაც ყველანი ერთ ღმერთს ერთ ენაზე ადიდებდნენ. მითის მიხედვით „არათას“ ქვეყნის ქურუმმა ქალღმერთ ინანას ბრძანება შეასრულა და ზემოთ აღწერილი სიწმინდეები შუმერში გაგზავნა. შუმერთა მითში მოხსენიებული „არათა“-ს ქვეყანა ქართველთა „რანი“ — „არანი“-ა, რომლის ისტორიულ ტერიტორიაზე მოიაზრება დღევანდელი კაზრეთის ოქროს საბადო.

ორიოდე წლის წინათ დმანისში სოფ. საყდრისის ტერიტორიაზე 25-30 მეტრის სიღრმეზე აღმოაჩინეს ოქროს საბადოს დაახლ. 5000 წლის წინანდელი შახტი, სადაც, თურმე, ადგილზე ამზადებდნენ ოქროს ნაკეთობებს. ქალბატონმა ირინე ღამბაშიძემ უცხოელ სპეციალისტებთან ერთად გამოიკვლია ეს შახტი, აიღეს ოქროს სინჯი და შეადარეს ყველა ძველი ცივილიზაციის ოქროს ნაკეთობებს. აღმოჩნდა, რომ ამ შახტში დამზადებული ოქროს ნაკეთობები მხოლოდ შუმერშია აღმოჩენილი, რაც, ფაქტობრივად, ადასტურებს შუმერთა მითში „ენშერქარი და არათას ბანონი“-ში გადმოცემულ რეალურ ისტორიულ ფაქტებს, რომლის მიხედვითაც ეს ოქროს ნაკეთობები საქართველოს „წმინდა მიწიდან“ შუმერში ქალღმერთ ინანას ბრძანებით ჩაიტანეს, როგორც უდიდესი სიწმინდეები მათი ტაძრებისათვის.

შუმერს ქართული გენი, ქართული „რჯული“ მიაჩნია უზენაეს „რჯულად“. ამასთან, პირველსაწყისი შუმერები ძვ.წ. VI ს. შუამდინარეში საქართველოდან ჩავიდნენ. შუმერები იგივე ქართველი ხალხია. ამის დასტურია ისიც, რომ შუმერთა არქეოლოგიურ მასალაზე ქართული მითები და ქართველთა ხვთისშვილებია ასახული (ნახეთ წიგნი: ნ.ხ. „ქართული გენი იბერიის ცივილიზაციათა სათავეებთან“. 2012 წ.).

საქართველო არის არა მხოლოდ წმინდა მარიამის წილხვედრი ქვეყანა, არამედ, შუმერთა მითის მიხედვით, „არათა“-ს ქვეყანა — საქართველო, რომელიც, ასევე, არის ქალღმერთ ინანას „სამკვიდრებელი“ — სამშობლო — სავანე“. საქართველოს მსოფლიოს აღმოსავლეთი ოდითგანვე გურჯისტანს და გურჯებს გვიწოდებს, რაც მითოლოგიის ენციკლოპედიის მიხედვით „33 წლის მარადქალწულს და სამოთხეს“ ნიშნავს. „სამოთხე“ თვითონ ხვთისმშობელია (ეს საუბრის დიდი თემაა). მითები „არათას“ საქართველოს მიერ წმინდა გულით არჩეულ „წმინდა წესთა ქვეყნად“ მოიხსენიებს“. შუმერთა „წმინდა წესები“ კი შუმერული კაბალაა, რაც მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება.

სოფ. საყდრისის იმ ტერიტორიას, სადაც შახტია აღმოჩენილი, კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი აქვს. ახლანდელი კაზრეთის მადნეულის საწარმოს „არ-ენ-ჯი“-ს მფლობელები თვლიან, რომ სოფ. საყდრისის ეს ტერიტორია მათი კუთვნილებაა და კულტურის სამინისტროსაგან ითხოვენ საყდრისის ტერიტორიის კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის გაუქმებას, რაც ყოვლად დაუშვებელია !!!

უფალმა ინება საყდრისის ოქროს საბადოს შახტის საიდუმლოს გაცხადება. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ შახტას უდიდესი ფასეულობა აქვს, როგორც ქართველი ერის და გენის პირველსაწყისობის წარმოჩენისათვის.

ეს საკითხი ზოგადსაკაცობრიო ღირებულებისაა. იმდენად დიდია მისი ფასი თავისი ისტორიული მნიშვნელობით, რომ ამის შეფასება ფულად თანხაში განუსაზღვრელია. ბევრი ძველი ერი ინატრებდა თავის ტერიტორიაზე ასეთ მონაპოვარს.

სოფ. საყდრისის ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის შეწყვეტა გამოიწვევს 5000 წლის წინანდელი ზემოთ აღწერილი შახტის ლიკვიდაციას. დღევანდელმა მთავრობამ და კულტურის სამინისტრომ ეს არ უნდა დაუშვას. საქართველოს და ქართველი ერის, როგორც ცივილიზაციის პირველ საწყისის უტყუარი დასტური, სოფ. საყდრისის ოქროს საბადოს შახტის ლიკვიდაციის თანადგომას, ქართველი ერი, ჩვენი წინაპართა ხსოვნა და მომავალი თაობა, მსოფლიოს მოაზროვნე საზოგადოება არ გვაპატიებს. ეს ზოგადსაკაცობრიო საკითხია.

საქართველოს თითოეულ მოქალაქეს მოგმართავთ თხოვნით, გამოიყენოთ თქვენს ხელთ არსებული ყველა შესაძლებლობა სოფ. საყდრისის უნიკალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის გადასარჩენად.

ნაზი ხანიაშვილი.
ტელ: 2 36-10-17
მობ: 558 25-52-97

◎ პატივგება

„გარეჯელი მინდიას“ ოდაბადეში

„სამწუხაროდ, დღეს ვ. გულისაშვილის, მსოფლიოში ცნობილი სამთო მეტყევეობის ინსტიტუტი, კ. ბენდუქიძის ფრთებს ქვეშ ნაძალადევად შეყუჟულ-დაკნინებულია და განადგურების ზღვარზეა მიყვანილი“.



ამ პოსტსკრიპტუმით მთავრდება სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, პროფესორ **რევაზ ჩაგელიშვილის** წერილი, რომელიც ჩვენი გაზეთის 3 მაისის ნომერში გამოქვეყნდა და ცნობილი მეცნიერის, ქართული ბუნების მოჭირნახულის, ბიოლოგთა, მეტყევე მეცნიერთა და პრაქტიკოსთა მრავალი თაობის აღმზრდელის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის **ვასილ გულისაშვილის** დაბადებიდან 110 წლისთავს ეძღვნება.

ამ მართლაც ერთ-ერთი უდიდესი მეცნიერისა და სპეციალისტის, ჟურნალისტთა მიერ გასული საუკუნის 70-იან წლებში „გარეჯელ მინდიად“ მონათლული ვასილ გულისაშვილის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ბატონ რევაზ ჩაგელიშვილისა და ცნობილი საგარეჯოელი მეტყევის, მეცნიერებათა დოქტორის, „ბუნების ქომაგის“ ოქროს ფრთის საპატიო ნიშნის კავალერის, საქართველოს დამსახურებული მეტყევის **ანზორ ჩაფიძის** თაოსნობით გუშინწინ მის ოდაბადეში — საგარეჯოში გაიმართა კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც ადგილობრივი, ისე დედაქალაქელი მეტყევეები, სპეციალისტები, ჟურნალისტები, მოწვეული სტუმრები.

სტუმარ-მასპინძლები ჯერ ბატონი ვასილის მშობლიურ სოფელ გიორგიწმინდაში მის საცხოვრებელ სახლს ესტუმრნენ, შემდეგ კი მისივე სახელობის სათაო პარკს ეწვივნენ, სადაც გაიმართა კიდეც კონფერენციის დასკვნითი ნაწილი.

ბევრი რამ ითქვა არა მარტო ამ მნიშვნელოვანი დარგის, არამედ მთლიანად ქვეყნის წინაშე ბატონი ვასილის დამსახურებაზე, მეტყევეობისა და მეტყევეთა ამჟამინდელ პრობლემებზე, მათი გადაჭრის გზებზე, რომელთაგან საუკეთესოდ საქმისადმი სწორედ იმგვარი პატრიოტული, უმაღლესი პროფესიონალიზმით განმსჭვალული და მამულიშვილური მიდგომა მიიჩნიეს, როგორიც მას ვასილ გულისაშვილი უდგებოდა. ცხადია, თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით.

არჩილ მუხაძე

◎ ფეისბუქიდან

წერტილოვანი ფრაზები

● **გამარჯვების დღე — საპარლამენტო ფრაქცია „რუსეთი მოდის რუსეთი“-ს წარმომადგენელმა ვინმე კანდელაკმა განაცხადა, რომ ცხრა მაისი არავითარი გამარჯვების დღე არ არის, რადგან ერთმა ბოროტებამ გაიმარჯვა მეორეზე.**

მოვიდა ჭკვიანი კაცი, ყველაფერი ახსნა და მთელმა მსოფლიომაც შვებით ამოისუნთქა, ეს რომ გაიგონა.

როგორც იქნა, სიტუაცია გაირკვა!

აბა, დავიშალეთ ახლა ყველანი და დროზე — სამსახურებში. თუ გამარჯვების დღე არ არის, ესე იგი დღესასწაულიც არ არის. თუ დღესასწაული არ არის, მაშინ ყველა სამსახურებში, ჩემს გარდა, რასაკვირველია.

რადგან მე ყოველი დღე მაქვს დღესასწაული!

● **გიორგი კანდელაკო, შენ გეუბნები: — ფაშიზმი არც რემბოს, არც ჯეიმს ბონდს და არც რიგით რაიანს არ დაუმარცხებიათ.**

ფაშიზმი გოდერძი და გიორგი მახარაშვილებმა, ჩიმკამ („არ დაიჯერო რომ აღარა ვარ“) და ღიმილის ბიჭებმა გაანადგურეს.

იმ ღიმილის ბიჭებმა, რომელთა დიდების მემორიალი, შენ, შენმა ნაძირალა ბელადმა და შენნაირებმა ააფეთქეთ.

გოდერძი მახარაშვილი, ჩიმკა, ღიმილის ბიჭები დღესაც აქ არიან და თქვენც ისე გაგანადგურებენ, როგორც ის ჭირი გაანადგურეს 68 წლის წინ!!!

● **რა ხანია ბაზრობენ და ვერა და ვერ მოძებნეს საპრეზიდენტო კაცი! მგონი, ისევ გრეჩიხას უნდა დავუძახოთ...**

● **ბევრ ჩემს მეგობართან წავაწყდი, და ამიტომაც სანამ არ შევთანხმდებით, რომ ეს ავადმყოფობა კი არა, აღზრდის შედეგია — გ ა რ ყ ვ ნ ი ლ ე ბ ა ა — მანამ არაფერი გამოვა.**

მაშინ გამოვიდნენ ქურდები, კაცის მკვლელები, პროსტიტუტები და რა ვიცი, კიდევ სხვა... და გამართონ აღლუმები საკუთარი „პროფესიის“ და უფლებების დასაცავად. ჩვენ ვიყოთ ჩუმად და ხმა არ ამოვიღოთ?! თვალსა და ხელსშუა გვეცლება საქართველო!

ყოველგვარი უზნეობა და გარყვნილება ძირფესვიანად უნდა ამოიძირკვოს!!!

● **ბარამიძეს რად უნდა პრაიმერი? ჯერ მარტო სვანეთი გაიყვანს, ისე უყვართ.**

● **მე ვირჩევ „ასორტ“ პრეზიდენტობის კანდიდატს... ბოცოს ტანით, ბიძინას ქონებით, ხუხას თავით, ჩიორას თვალებით და კანდელაკის წარბებით. მომბეზრდა „ზავატსკოები“.**

● **აბა თუ მაგრები ხართ, პალიკოს თავი გააფაბრიკაციეთ!**

● **ბოლო-ბოლო რა გადაწყდა, ტელევიზორის ყურებაზე ასაკობრივ ზღვარს დააწესებენ, თუ ფილმებს ღამის 11 საათის მერე გაუშვებენ?**

● **გადაცემა „პოზიციის“ შემდეგ რესტორან „ინტიმში“ გაიმართება ბანკეტი გადაცემისა და ფილმის პერსონაჟთა მონაწილეობით, დასწრება 1 საათი — 100$!**

● **დარწმუნებული ვარ, დღეს შსს-შიც, პროკურატურაშიც და სპეცსამსახურებშიც მუშაობს ის ხალხი, ვინც გულში სერიოზულად გულშემატკივრობს „ნაცმოძრაობას“ და ფარულად, მაგრამ მაინც ეხმარება მას უფლებამოსილების ფარგლებში. ფაქტია, ასეთი ტიპის მასალა არ უნდა ჟონავდეს არც ერთი უწყებიდან, თუ ეს არ არის განთავსებული ძველი ხელისუფლების მხრიდან. ფაქტია, რომ ასეთი ტიპის ინფორმაციები და დისკები ჟონავს ძალოვანი სტრუქტურიდან და პროკურატურიდან. საინტერესოა, ვის მიერ და ვისი მხრიდან ხდება ეს?**

● **ამოირჩიე ქართველო ერო!**

მოკლედ, 2 ალტერნატივაა.....

კაი არაყი, სალათით,მჟავეთი და შავი პურით, ზემოდან ნატაშა-სვეტებით.....

ან კრივეტკები, ჯინტონიკი, შოკმანჟე ბლომანჟეებით და ზემოდან ჯესიკა-მონიკებით.

P. S. ხო მართლა, მესამეცაა — ლობიო მჭადითა და ჭყინტი ყველით და თუ ბევრს გაახურებ, პოლის ჯოხის თავზე გადამტვრევით)))))

შეარჩია
გია გაბრიჭიძემ

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ წყალბურთი

ხუთნი – ორი საგზურისთვის

წლეულს, 19-24 სექტემბერს, მალტაზე 1996-1997 წლებში დაბადებულ წყალბურთელთა ევროპის პირველობის გადამწყვეტი ეტაპი გაიმართება. იქ მოსახვედრად შესარჩევ ტურნირებში 20 გუნდი ასპარეზობს, რომლებიც ოთხ ქვეჯგუფში არიან განთესილი. ორ-ორი საუკეთესო ფინალის საგზურს დაიმსახურებს. B ჯგუფში ხუთი ქვეყნის ნაკრები გამოდის: საქართველო, სლოვაკეთი, გერმანია, ჰოლანდია და მოლდოვა. ორთაბრძოლებს თბილისის საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკის“ აუზი მასპინძლობს. შეჯიბრების პირველ დღეს ერთმანეთს დაუპირისპირდნენ

საქართველო – მოლდოვა 16:6 (5:1, 3:3, 4:1, 4:1).

საქართველო: ჭოლოკავა, ჩიკვაიძე (2), რევია, იმნაიშვილი (2), გაბადაძე, ბითაძე (8), ჯახაია (3), ზაქარეიშვილი, მოსაშვილი, მაგრაქველიძე, ჯანჯღავა, თუხარელი (1), რაზმაძე. **მწვრთნელები** – პოპოვიჩი და ბაქრაძე.

მოლდოვა: სტარსი, მუტუ (2), პასკალიუსი, კალინოვიჩი, ფლორეა, დემბიჩი, კლემაკი (2), პრიშეპოვი, ვერტესი (1), სუსინოვი, ერმოლაევი, კობილეანუ (1), როგუჩი. **მწვრთნელები** – ოსტროპოვიჩი და სტუკალო.

იოვან პოპოვიჩის შეგირდებმა ამ შეჯიბრებისთვის საფუძვლიანი მოსამზადებელი პერიოდი განვლეს: ბიჭები სამი თვეა, ერთად ვარჯიშობენ, ამას წინათ სერბეთში ორკვირიანი საწვრთნელი შეკრება გაიარეს და სპარინგშეხვედრებიც გამართეს, აპრილის მიწურულს სახელოვანი წყალბურთელის ნოდარ გვახარიას თასი მოიპოვეს - ჩეხეთის, ისრაელისა და ყაზახეთის გუნდები დაამარცხეს. ასე რომ, ბიჭები მზად არიან, კონტინენტის პირველობის დასკვნითი რაუნდისკენ გზა გაიკაფონ, ამიტომაც მოლდოველებს პაექრობის პირველი წამებიდანვე აქტიურად შეუტიეს. სტუმრებმა მხოლოდ ორი წუთის განმავლობაში შეინახეს კარი მშრალად. მოლდოველების რბევა მე-3 წუთზე ჯახაიამ დაიწყო. მას აქტიურად აუბა მხარი ცენტრალურმა თავდამსხმელმა ბითაძემ, რომელმაც ამ მატჩში 8 გოლი გაიტანა. მისმა თანაგუნდელებმაც იყოჩაღეს და საქართველოს ნაკრებმა შესარჩევი ტურნირის სტარტზე დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა – 16:6.

სპეციალისტები ასპარეზობის ფავორიტებად გერმანელებსა და ჰოლანდიელებს მიიჩნევენ. პირველ ტურში მათი პაექრობა დაძაბული და საინტერესო გამოდგა. მატჩის დაწყებიდან ხუთი წუთის განმავლობაში საგრძნობ უპირატესობას ვერავინ მიაღწია. გარდატეხა მე-6 წუთიდან დაიწყო, როცა ალემანმა კუპერსმა ანგარიში გახსნა. ნიდერლანდელები მერეც მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ მეტოქეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ და შვიდი ბურთის სხვაობით დამარცხდნენ – 11:4 (2:0, 2:1, 5:1, 2:2).

გუშინ. ჰოლანდია-სლოვაკეთი 6:6, გერმანია-მოლდოვა – 12:3.

გივი გაგუა

◎ ფეხბურთი

საჩხერიდან ევროპა გამოჩნდა

მაშ ასე, წლეულს კონტინენტის საკლუბო ტურნირს კიდევ ერთი ქართული კლუბი დააჭაშნიკებს.

ესაა საჩხერის „ჩიხურა“, რომელიც დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასის გათამაშების ფინალში გავიდა და, თბილისის „დინამოსთან“ სატიტულო ბრძოლის (22 მაისი) შედეგის მიუხედავად, ევროპის ლიგაში ითამაშებს. მოგეხსენებათ, „თეთრ-ლურჯებმა“ უკვე გაინაღდეს ქვეყნის ჩემპიონობა და იმ შემთხვევაშიც კი, თუ „დუბლს“ შეასრულებენ, მათი მომავალი მეტოქე, როგორც თასის გათამაშების ფინალისტი, ისე დაიცავს საქართველოს სპორტულ ღირსებას საერთაშორისო სარბიელზე.

გაუწყებთ საპასუხო ნახევარფინალური შეხვედრების შედეგებს: „დინამო“ – „მეტალურგი“ 5:0 (პირველი მატჩი – 1:2), „სიონი“ – „ჩიხურა“ 1:0 (0:2).

გიორგი შოთაძე

◎ ძიუდო

რიო ანტალიით იწყება

საძართველოს ძიუდოისტ ვაჟთა ნაკრები ანტალიას გაემგზავრა და იქ სპორტის ამ სახეობის ეროპული ფედერაციის მიერ ორგანიზებულ საწვრთნელ შეკრებაში მიიღებს მონაწილეობას. ფაქტობრივად, ეს არის რიო დე ჟანეიროში გასამართავი (2013 წლის 26 აგვისტო-2 სექტემბერი) მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადების დასაწყისი, რომელიც ტიუმენის მასტერსს (25-26 მაისი) ორი კვირით უსწრებს. ანტალიაში 22-მდე ქვეყნის ნაკრები ივარჯიშებს. შეკრებაზე მთავარმა მწვრთნელმა ირაკლი უზნაძემ 9 ძიუდოისტი წაიყვანა: ევროპის ჩემპიონი ამირან პაპინაშვილი (60), ოლიმპიური და ევროპის ჩემპიონი ლაშა შავდათუაშვილი (66), ევროპის ვიცე-ჩემპიონი ნუგზარ ტატალაშვილი და მესამე პრიზიორი ზებედა რეხვიაშვილი (ორივე – 73), ევროპის ჩემპიონი ავთანდილ ჭრიკიშვილი და ბრინჯაოს მედალოსანი ლევან წიკლაური (81), კონტინენტის 2012 წლის გამარჯვებული ვალერი ლიპარტელიანი და ზვიად გოგოჭური (90), ევროპის ვერცხლისმედალოსანი ადამ ოქრუაშვილი (+100). ამათგან, ტატალაშვილის გარდა, ყველა შედის სამასტერსე 16-ეულში, გორელი ფალავანი კი მე-17-ეა. რადგანაც ძირითადი სიიდან ყველა არ აპირებს ციმბირში ჭიდაობას, რუსულ ტატამზე გამოსვლა ნუგზარსაც გარანტირებული აქვს. უზნაძემ ანტალიაში კიდევ ერთი ფალავანი წაიყვანა – ევროპის ორგზის ვიცე-ჩემპიონი ლომერ ჟორჟოლიანი (100), რომელიც სარეზერვო სიაშია.

მასტერსის ტურნირის დამთავრების შემდეგ – 27 მაისიდან 7 ივნისამდე ჩვენი ნაკრები კორეაში გაივლის ერთობლივ შეკრებას, იქიდან მინსკს მიაშურებს, 20 ივნისს კი სამშობლოში დაბრუნდება და ბაკურიანში განაგრძობს მზადებას. ადაპტაციის მიზნით ქართველი ძიუდოისტები ბრაზილიაში ერთი კვირით ადრე ჩავლენ.

ლექსო ცინცაძე

◎ კალათბურთი

ის „არმია“ აღარ არის

შარშან რომ „არმია“ სუპერლიგის პლეი-ოფში „ოლიმპს“ შეხვედროდა, დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, დედაქალაქის სპორტის სასახლეში მძაფრი ბრძოლები გაიმართებოდა და არც მაყურებელთა სიმცირე იქნებოდა ტრიბუნებზე.

მას შემდეგ, რომ იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა, თავდაცვის სამინისტროს გუნდი ლეგიონერებმაც დატოვეს და გაჭირვებულს ქვა აღმართში მიეწიასი არ იყოს, წლევანდელი ეროვნული ჩემპიონატის ნახევარფინალის წინ – ცენტრალურ თავდამსხმელთა ტრავმირებულმა ტრიომაც (შარაბიძე, უგრეხელიძე, ბაბიაშვილი).

ბუნებრივია, როცა განაცხადში მხოლოდ 8 მოთამაშე ხვდება, იქ შეუპოვარი წინააღმდეგობის გაწევაზე საუბარი წყლის ნაყვას ჰგავს. მართლაც, რეგულარული სეზონის გამარჯვებულმა უპრობლემოდ მოიგო სასტარტო მატჩები – 103:67, 75:68 და სერიაში, რომელიც 3 წარმატებამდე გრძელდება, 2:0 დაწინაურდა.

საპირისპირო სურათია შსს აკადემიისა და „ქუთაისის“ წყვილში, რომელშიც მეტოქეებმა ჩხვლეტები გაცვალეს – 83:62, 71:73 (1:1) და დღეიდან რიონის ნაპირებზე გაარკვევენ უძლიერესის ვინაობას.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ რაგბი

მართლაც ეროვნული

საძართველოს მორაგბეთა 7-კაცა ნაკრებს დღეს-ხვალ დიდი ბრიტანეთის დედაქალაქ ლონდონში 7-კაცა რაგბის მსოფლიო სერიის მომავალი გათამაშების დასკვნითი შესარჩევი ეტაპის მატჩები ელის.

შეგახსენებთ, რომ პირველ შესარჩევ ეტაპზე ქართველმა მორაგბეებმა ჯგუფურ რაუნდში იამაიკა დაამარცხეს, მერე ბრაზილიას დაუზავდნენ და იაპონიასთან დამარცხდნენ, მაგრამ ეს მეოთხედფინალში გასასვლელად საკმარისი აღმოჩნდა. კახა ალანიას შეგირდებმა მეოთხედფინალში იმავე იაპონიასთან რევანში აიღეს, ნახევარფინალში გასვლით ოთხეულში მოხვდნენ და ლონდონის საგზური დაიბეჭდეს. ნახევარფინალში „ბორჯღალოსნები“ ტონგასთან დამარცხდნენ, მაგრამ ეს აღარაფერს ცვლიდა.

ლონდონში, მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო არენა „თვიქნემზე“, მსოფლიო სერიის დასკვნითი ეტაპის პარალელურად, დასკვნითი შესარჩევი ეტაპიც იმართება. შესარჩევ ტურნირში 8 ნაკრები მონაწილეობს – ჰონგკონგის ეტაპის ოთხი მოწინავე – ზიმბაბვე, რუსეთი, ტონგა და საქართველო, აზიის გამარჯვებული ჰონგკონგი და მსოფლიო სერიის სამი ბოლოადგილოსანი – შოტლანდია, ესპანეთი და პორტუგალია. ამ ოთხიდან სამი საუკეთესო, მომავალი მსოფლიო სერიის ყველა ეტაპზე თამაშის უფლებას მიიღებს.

ამრიგად, პირველ დღეს საქართველოს ნაკრებს ჯგუფური ეტაპის მატჩები უწევს და ჯგუფში დაკავებული ადგილის მიხედვით გაირკვევა ის, თუ ვინ იქნება მეოთხედფინალში ქართველთა მეტოქე. აქ უკვე უცილობლად გამარჯვება და ნახევარფინალში გასვლაა საჭირო. ორი ფინალისტი მსოფლიო სერიის საგზურს ინაღდებს, ნახევარფინალში დამარცხებულები კი, ბოლო, მესამე საგზურისთვის იბრძოლებენ და გამარჯვებული საგზურს დაიბეჭდავს.

საქართველოს ნაკრები ჯგუფში შოტლანდიასთან, ზიმბაბვესთან და ჰონგკონგთან მოხვდა. დღეს, თბილისის დროით 12 საათზე, ქართველთა მეტოქე შოტლანდია იქნება, 15 საათზე – ჰონგკონგი, ხოლო ჯგუფური ეტაპი 18 საათზე ზიმბაბვესთან ჯახით დასრულდება. ხვალ მეოთხედფინალები 12 საათიდან დაიწყება. მეორე ჯგუფში ესპანეთის, პორტუგალიის, რუსეთისა და ტონგას ნაკრებები მოხვდნენ.

ჰონგკონგის ეტაპისგან განსხვავებით, საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში არცერთი ლეგიონერი არ მოხვდა და სულ ოთხი ცვლილება განხორციელდა. ირაკლი მაჩხანელის („არმაზი“, თბილისი), ვიტო კოლელიშვილის („კლერმონი“, საფრანგეთი), ალექსანდრე თოდუასა („ალბი“, საფრანგეთი) და თედო ზიბზიბაძეს („პერიგო“, საფრანგეთი) ნაცვლად ლონდონში ირაკლი გეგენავა, ალეკო ხუციშვილი, თორნიკე ცერცვაძე და მერაბ შარიქაძე გაემგზავრნენ. შარიქაძეს ჰონგკონგის ეტაპზეც უნდა ეთამაშა, მაგრამ ეროვნულ ნაკრებში თამაშისას დაშავდა და გუნდს ამის გამო დააკლდა. ის ინგლისიდან მშობლიურ კლუბ „აკადემიაში“ დაბრუნდა და ჯერჯერობით ლეგიონერთა სიაში არ ითვლება.

საქართველოს მორაგბეთა 7-კაცა ნაკრები ლონდონში ასეთი შემადგენლობით ითამაშებს: ირაკლი გეგენავა („ლელო“, თბილისი), ალეკო ხუციშვილი („არმაზი“, თბილისი), თორნიკე ცერცვაძე („ლელო“, თბილისი), მერაბ შარიქაძე („აკადემია“, თბილისი), ლაშა ხმალაძე („ლელო“, თბილისი), ლევან გოგოლაშვილი („არმია“, თბილისი), გიორგი ჯიმშელაძე („არმია“, თბილისი), ბახვა კობახიძე („არმია“, თბილისი), ირაკლი ღვინჯილია („ლოკომოტივი“, თბილისი), შავლეგ მახარაშვილი („ბათუმი“, ბათუმი), გიორგი ფრუიძე („აია“, ქუთაისი), ზურაბ ძნელაძე („აია“, ქუთაისი).

მთავარი მწვრთნელი: კახა ალანია.

მანუჩარ გიორგაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

სანთელი

სამუდამოდ გათუთაშხიებული

დიახ, სამწუხარო რეალობაა, რომელიც, მე პირადად, შემთხვევით ერთ თავყრილობაზე გავიგე, სადაც, ახალგაზრდა თუ ხანშიშესული, დიდი ქართველი მსახიობის შესრულებულ როლებს იხსენებდა (ცხადია, უპირველესად, დათა თუთაშხიას), მის ნიჭიერებას ქება-დიდებას არ აკლებდა და მწუხარებას გამოთქვამდა მისი გარდაცვალების გამო. ვიდექი მათ შორის და ჩემდაუნებურად ვიგონებდი ბატონ ოთარ მეღვინეთუხუცესთან რამდენიმე შეხვედრას. ერთ-ერთი (მგონი, პირველი, ჩემი როგორც ჟურნალისტისა) თითქმის ამ ორმოცი წლის წინათ იყო. ოთარ მეღვინეთუხუცესი იმხანად ჰამლეტის სახეზე ფიქრობდა.

— ამ ურთულეს როლზე ზუსტად ათი წლის წინათ დავიწყე მუშაობა რეჟისორ ლილი იოსელიანთან, — მიამბობდა ოთარი, — სხვადასხვა მიზეზის გამო, შემდეგ, ეს მუშაობა შეწყდა. ამ ხნის მანძილზე რამდენიმე რეჟისორმა შემომთავაზა ჰამლეტის როლი, მაგრამ მე არ მქონდა მორალური უფლება, ვინმესთან მეთამაშა იგი, თუნდაც იმიტომ, რომ ლილი იოსელიანი ჩემი პედაგოგია და თანაც ჩვენ ხომ მთელი წელიწადნახევარი ვმუშაობდით ამ ურთულეს სახეზე.



— ისე, რამდენადაც ვიცი, თეატრალური საზოგადოება ორად არის გაყოფილი: უმრავლესობას ღრმად სწამს, რომ ჰამლეტი იქნება თქვენი ახალი გამარჯვება, ზოგიც ყოყმანობს — აქაოდა გიორგი მეფის შემდეგ ჰამლეტი... თქვენ რა პასუხს გასცემდით ამ ორად გაყოფილ ბანაკს?

— მაგაზე ჩემი განსახიერებული როლი უპასუხებს, თუ მეღირსა და ვითამაშე... წინასწარ არაფრის თქმა არ შემიძლია. ისეკი, თუ წაქცევა მიწერია, დაე, ამ ბუმბერაზმა წამაქციოს... გიორგი მეფე და ჰამლეტი, რა თქმა უნდა, სხვადასხვა სახეა, მაგრამ მე ვფიქრობ, არტისტი ცოცხალი უნდა იყოს, მისგან ყველაფერი უნდა მოიზილოს...

— რომელი ქართული ლიტერატურული ნაწარმოების ეკრანიზაციას და რომელი გმირის ხორცშესხმას ისურვებდით?

— დათა თუთაშხიას ხორცშესხმა მომიწევს სულ მალე...

— რომელმა როლმა მოგიტანათ ყველაზე დიდი კმაყოფილება თეატრში, კინოში, ანდა რომელი არ გაკმაყოფილებთ?

— კინოში მაინც გიორგი მეფემ, თეატრში ცოტა მიჭირს გამოვყო. არის როლები, რომლებიც ერთნაირად მიყვარს. ესენია: სირანო, ნიკოლოზი, ლამანჩელი, ფიროსმანი... რომელი არ მაკმაყოფილებს? ასეთი ბევრია როგორც კინოში, ასევე თეატრში. როცა ბოლომდე ვერ ახერხებ იმის თქმას, რაც გინდა, აქ უკვეტკივილია, უკმაყოფილების გრძნობაა...

* * *

როგორც გითხარით, თითქმის ორმოცი წელი გავიდა ჩვენი პირველი შეხვედრიდან. მას შემდეგ ქვეყანამ იცის, იყო უამრავი მაღალნიჭიერად შესრულებული როლი მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე თუ კინოში... დათა თუთაშხიას ვითამაშებ სულ მალეო, რომ მითხრა, მართლაც უდიდესი შემართებითა და სიღრმისეულად შეასრულა ოთარ მეღვინეთუხუცესმა ეს როლი და მაყურებელთა უდიდესი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. იგი, თითქოს, სამუდამოდ გათუთაშხიებულია, ანუ ჭაბუა ამირეჯიბის სამაგალითო გმირის სახეა და ასეთად გადაეცემა თაობებს (გაუმარჯოს კინოხელოვნების ამ უპირატესობას), რომლებიც, სწორედაც რომ, ქედს მოიხრიან ქართული არტისტული შემართების ერთ-ერთი ელვარე ნასხლეტის, ოთარ მეღვინეთუხუცესის ნიჭის წინაშე.

ვილენ მარდალეიშვილი

ედუარდ შევარდნაძე, მანანა და პაატა შევარდნაძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ ქალბატონ გურანდა გაბუნიას მეუღლის, დიდი ქართველი მსახიობის და ხელოვანის, ღირსეული მოქალაქის

ოთარ

მეღვინეთუხუცესის

გარდაცვალების გამო, სამძიმარს უცხადებენ მისი ოჯახის წევრებს და ახლობლებს.

თბილისი. 9 მაისი, 2013 წელი.

გარდაიცვალა ბრწყინვალე, მსოფლიო მნიშვნელობის ხელოვანი, რჩეულთა შორის რჩეული, ქართველი ხალხის უსაყვარლესი მსახიობი

ოთარ მეღვინეთუხუცესი

მისი პლასტიკა და გარდასახვის უნარი ყველანაირ როლს ითავისებდა და ირგებდა. როგორც პიროვნება, იყო ჭეშმარიტი მამულიშვილი და მგზნებარე პატრიოტი. მისი უდროოდ წასვლა დიდი ტკივილია ქართველი ხალხისთვის.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი დიდი გულისტკივილითა და სინანულით ეთხოვება დიდებულ მსახიობს, თანაუგრძნობს ქალბატონ გურანდა გაბუნიას, ოჯახის წევრებსა და მისი ნიჭის მრავალრიცხოვან თაყვანისმცემელს.

მერაბ ბერძენიშვილი

რეზო ამაშუკელი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქართული კულტურის სიამაყე და მსოფლიო თეატრალური სამყაროს მშვენება

ოთარ მეღვინეთუხუცესი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს და სრულიად საქართველოს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური მწუხარებას გამოთქვამს ლეგენდარული და ყველასათვის საყვარელი მსახიობის

ოთარ მეღვინეთუხუცესის

გარდაცვალების გამო. უსამძიმრებს მისი ოჯახის წევრებს და სრულიად საქართველოს.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

ინფორმაცია

კირკიტაძე და მისი კლანი, შეიძლება, რუსთავის ავტომაგისტრალს შეეწიროს

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში თბილისი-რუსთავის ავტომაგისტრალთან დაკავშირებით ქვემო ქართლის გუბერნატორის ინტერესებზე საუბრობენ.

ამასთან დაკავშირებით გუშინ პრესკონფერენცია მინისტრის მოადგილემ შოთა მურღულიამ გამართა. მურღულიამ ჟურნალისტებს მთავრობის 2012 წლის 20 ოქტომბრის განკარგულება გააცნო, რომლითაც ცვლილება შევიდა მთავრობის 2009 წლის 18 თებერვლის განკარგულებაში და თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზის თბილისი-რუსთავის მონაკვეთზე ე.წ. ბუფერული ზონა მოიხსნა. ამით შესაძლებელი გახდა ამ ტერიტორიაზე სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების გასხვისება.

შოთა მურღულიას თქმით, აღნიშნული განკარგულების პროექტის ავტორი ქვემო ქართლის გუბერნიაა, რომელსაც დავით კირკიტაძე ხელმძღვანელობს და სწორედ მისი ინიციატივით წარედგინა მაშინდელ მთავრობას განკარგულების პროექტი.

მურღულიას თქმით, კირკიტაძის მიერ პროექტის განმარტებით ბარათში მითითებული იყო, რომ თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზის თბილისი-რუსთავის მონაკვეთზე სარეკონსტრუქციო სამუშაოებზე დამტკიცებული იყო პროექტი და გამოვლენილი იყო სამუშაოების მწარმოებელი ორგანიზაცია, რომელიც უკვე ახორციელებდა მშენებლობას. ამავდროულად, რეგიონში იყო ინვესტორების მოთხოვნილება გზის მიმდებარედ მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებაზე.

— მიზეზი, რომელსაც განმარტებით ბარათში კირკიტაძე ასახელებს, არის სიცრუე. თბილისი-რუსთავის ავტომაგისტრალის მშენებლობა იმ პერიოდში არათუ დაწყებული არ ყოფილა, ოფიციალურად ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან, რომელსაც შემდგომში ავტომაგისტრალის მშენებლობა უნდა დაეწყო, ხელშეკრულებაც არ იყო გაფორმებული. როგორც ჩანს, კირკიტაძემ ან შეგნებულად შეიყვანა შეცდომაში მთავრობა, ან ეს წინა მთავრობის მორიგი აფიორა იყო, — აცხადებს მურღულია.

მისივე განმარტებით, 2012 წლის 20 ოქტომბერს, საქართველოს მთავრობამ განკარგულება ნაჩქარევად მიიღო, რაც მურღულიას თქმით, სამინისტრომ საეჭვოდ მიიჩნია და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან გამოითხოვა ინფორმაცია, მოხდა თუ არა 2012 წლის 20 ოქტომბრიდან 27 აპრილამდე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ფართობის გასხვისება აღნიშნულ ტერიტორიაზე.

— საჯარო რეესტრიდან მიღებული პასუხით დგინდება, რომ 2012 წლის 24 ოქტომბერს, ანუ მთავრობის განკარგულების მიღებიდან ოთხ დღეში, 8057 კვ.მ მიწა გადაეცა მოქალაქე ჯორჯ გვიმრაძეს, ხოლო 2012 წლის 27 დეკემბერს აღნიშნული ნაკვეთი ჯორჯ გვიმრაძემ აჩუქა მოქალაქე გურამ გვიმრაძეს. ვინ არიან აღნიშნული პირები, აქვთ თუ არა კავშირი ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ან ქვემო ქართლის გუბერნატორთან, რატომ მოხდა ასე სასწრაფოდ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის გასხვისება, ყოველივე ამას მოკვლევა დაადგენს. ბოლო პერიოდში, წინა ხელისუფლების წარმომადგენლები, განსაკუთრებით კი ქვემო ქართლის გუბერნატორი კირკიტაძე ხშირად გვსაყვედურობს, რომ რუსთავი-თბილისის ავტომაგისტრალის მშენებლობა ახალმა მთავრობამ შეაჩერა. მშენებლობა, რომელიც არც დაწყებულა, ბუნებრივია, ვერც შეჩერდებოდა. კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ 2012 წლის 15 აგვისტოს, პრეზიდენტის მონაწილეობით თბილისი-რუსთავის ავტომაგისტრალზე დადგმული ფარსი წინა ხელისუფლების დიდი სპექტაკლის ერთი პატარა ნაწილი იყო. რაც შეეხება კირკიტაძის პერმანენტულ თავდასხმებს, ეჭვი გვაქვს, რომ მისი განსაკუთრებული ინტერესი სწორედ ამ განკარგულებიდან და გასხვისებული სახელმწიფო ქონებიდან გამომდინარეობს და არა რუსთაველებზე ზრუნვის დაუოკებელი სურვილიდან, — აცხადებს მურღულია.

მისივე თქმით, საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო აღნიშნულ მასალებს პროკურატურას გადაუგზავნის.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ სულიერება

წმინდა ანდრია პირველწოდებული

საძართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია წმინდა ანდრია პირველწოდებულს იხსენიებს.

...ანდრია პირველწოდებული ქრისტეს პირველმქადაგებლად ითვლება საქართველოში.

ყოვლადქებულმა მოციქულმა ანდრიამ ქრისტეს მოძღვრება იქადაგა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, მცირე აზიაში, შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ქვეყნებში და სკვითების ქვეყანაში.

საქართველოში შემოსულმა წმინდა ანდრია პირველწოდებულმა ქალაქ ტრაპზონში ცოტა ხანი დაჰყო. მან იქ დაიწყო სახარების ქადაგება, მრავალი განსაცდელი დაითმინა ურწმუნოთაგან, მაგრამ ბევრიც მოაქცია.

იმ ადგილას, სადაც მოციქულმა ანდრიამ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი დაასვენა, ამოჩქეფა მშვენიერმა წყარომ. მის გარშემო შემოიკრიბნენ იმ ქვეყნის მკვიდრნი და მოციქულმა ნათელი სცა ყველას სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. იქაურ ქართველებს მღვდლები და დიაკვნები დაუდგინა და სარწმუნოების წესი და საზღვარი დაუდო.

ქართველებმა იქ ააშენეს ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია. ანდრია პირველწოდებულმა მოიარა საქართველოს სხვადასხვა კუთხე, ქადაგებით ჩავიდა ტაოში, სვანეთში, ოსეთსა და აფხაზეთში; იქ დატოვა სიმონ კანანელი, თვითონ საბერძნეთში გაემგზავრა. იქ ნეტარი ანდრია ჯვარზე გააკრეს.

კვირაცხოვლობა — აღდგომის განახლება — თომას კვირიაკე

12 მაისს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს კვირაცხოვლობას, რომელსაც ეწოდება ახალი კვირა, აღდგომიდან მეორე, თომას კვირა.

...აღდგომის ღამეს თომას გარდა ყველა მოციქულმა ნახა იესო ქრისტე. თომა გვიან მოვიდა, მოწაფეებმა უთხრეს: „ჩვენ ვნახეთ უფალი!“ მაგრამ ურწმუნო თომამ არ დაიჯერა. ერთი კვირის შემდეგ მოწაფეები ისევ შეიკრიბნენ, თომაც მათთან ერთად იყო. იესო ქრისტე კვლავ გამოეცხადა და უთხრა: „მშვიდობა თქვენ“, მერე კი თომას მიმართა: „მომეცი აქ შენი თითი და გასინჯე ხელები ჩემი, მომეცი ხელი და შეახე ჭრილობას ჩემი გვერდისას და ნუ იქნები ურწმუნო, არამედ იყავი „მორწმუნე“. თომამ შეჰღაღადა: „უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი“. იესომ უთხრა: „შენ ირწმუნე, რადგანაც მნახე, მაგრამ ნეტარ არიან ისინი, რომლებმაც არ მიხილეს და მირწმუნეს“.

მოციქულთ თომას კვირას დღესასწაულზე, ლიტურგიაზე იკითხება სახარების სათანადო მონაკვეთი.

საქართველოში ძველად კვირაცხოვლობის დღეს მლოცველები დილაადრიან ანჩისხატის ეკლესიასთან მოასვენებდნენ ხატს, წირვა-ლოცვის შემდეგ კი იმართებოდა სახალხო დღესასწაული — სანახაობა, ჯირითი, ცეკვა-თამაში და სხვა.

...ბრწყინვალე შვიდეულის განმავლობაში პატარა მაგიდაზე დადებული საგანგებოდ გამომცხვარი პური „არტოსი“ განსაკუთრებულ მადლს იძენს ტაძარში, რომელსაც მორწმუნეებს კვირაცხოვლობას ურიგებენ. სულს და ხორცს კურნავს მადლიანი პური.

გიული ლიპარტია

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ყაბინაჟი გაზეთებიდან

რა შეხლა-შემოხლა მოხდა სააკაშვილსა და უგულავას შორის?

„ნაცმოძრაობის“ შიდა დაპირისპირების გამო, როგორც ჩანს, კიდევ ბევრ რამეს გავიგებთ სააკაშვილზე. „ალიას“ სარწმუნო წყაროს ინფორმაციით, რამდენიმე დღის წინ ქალაქის მერი გიგი უგულავა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს დაუპირისპირდა. მათ შორის საქმის ხმაურიანი გარჩევა მომხდარა. სანდო წყარო გვატყობინებს, რომ გიგი უგულავას სააკაშვილი არჩევნების წაგებაში დაუდანაშაულებია და უგინებია — არჩევნების შედეგები გამოცხადებული არ იყო, ტელევიზიით რომ გამოხვედი და ქვეყანას „ნაცმოძრაობის“ არჩევნებში წაგება აუწყეო. ეს რომ არ გაგეკეთებინა, კიდევ გვქონდა შანსი, რომ გვემოქმედა, მაგრამ ეს შენ მილიარდების გადასარჩენად გააკეთე და ყველანი გაგვწირეო.

„ალია“

პატარკაციშვილის დედას მოძალადეობას ართმევენ?

ნათელა პატარკაციშვილს შესაძლოა საქართველოს მოქალაქეობა ჩამოართვან, თუმცა ის არ აპირებს, პრეზიდენტს მოქალაქეობის აღდგენის თხოვნით მიმართოს. ის ადასტურებს, რომ შესაბამისი უწყებიდან წერილი პირველ მაისს მიიღო, სადაც წერია, რომ ორი ქვეყნის მოქალაქეობას შორის მან არჩევანი უნდა გააკეთოს. საუბარია საქართველოსა და ისრაელზე. მისი თქმით ის ისრაელის მოქალაქეა და უკვე 80 წელია არ აპირებს მოქალაქეობაზე უარის თქმას. იგი ამბობს, რომ გადაწყვეტილებას 2-3 დღეში მიიღებს.

„რეზონანსი“

ქართველი ვეტერანები რუსეთში არ გაუშვეს

ქართველ ვეტერნებს ლარსის სასაზღვრო პუნქტის გადალახვის შესაძლებლობა ქართველმა მესაზღვრეებმა არ მისცეს. ნეიტრალურ ზონაში დაგეგმილი იყო დიდი სამამულო ომის ოსი და ქართველი ვეტერანების საზეიმო შეხვედრა, რომელიც ევრაზიის ინსტიტუტმა შეათანხმა ქართველ ვეტერანებთან. ევრაზიის ინსტიტუტის წარმომადგენლის შოთა აფხაიძის განცხადებით, მიუხედავად არაერთი თხოვნისა, შს სამინისტროდან თანხმობა არ მიუღიათ, ამის გამო ჩათვალეს ეს დუმილი თანხმობად, მაგრამ როდესაც ვეტერანთა დელეგაცია მივიდა ლარსის პუნქტთან, ისინი არ გაუშვეს. რა გასაკვირია, სააკაშვილის ხელისუფლებამ დაამკვიდრა ქვეყანაში ომის ვეტერანთა მიმართ აგდებული დამოკიდებულება და აი, სამარცხვინო შედეგიც.

„ახალი თაობა“

„საძართველოს მხრიდან ჩერძეზთა გენოციდის აღიარება სრული იდიოტიზმი იყო“

— მიიჩნევს ყოფილი სახალხო დამცველი, ჟურნალისტი ნანა დევდარიანი, — ამ ფაქტის შემდეგ რუსეთს, რეალურად, არაფერი დაკლებია და არც პრობლემები შექმნია. პირიქით, ჩერქეზთა გენოციდის აღიარებამ ქართველების მიმართ გარკვეული კითხვები გამოიწვია. მოგეხსენებათ, ქვეყანაში საკმაოდ მოცულობითი სომხური დიასპორა გვყავს, რომელიც სხვა ქვეყნებისგან დიდი ხანია, აზერბაიჯანის მიერ სომხების გენოციდის აღიარებას დაჟინებით მოითხოვს. აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის კონფლიქტი ჯერ კიდევ ცოცხალია. ამ შემთხვევაში თურქეთის ფაქტორიც გასათვალისწინებელია... ჩვენ კი...

„ვერსია“

◎ ჩვენი კარაბადინი

საგანგაშო ასაკი

სახიფათო ასაკი კაცებისთვის — 40 წელია, ქალებისთვის — 30, განსაზღვრეს მეცნიერებმა ჯანმრთელობის სამედიცინო ცენტრიდან (აშშ) ჰელსინკის უნივერსიტეტის (ფინეთი) სპეციალისტებთან ერთად. მათ მოაწყვეს გამოკვლევა, რომელშიც 15-დან 49 წლამდე ასაკის ათასზე მეტმა კაცმა მიიღო მონაწილეობა, და გამოარკვიეს, რომ იშემიური ინსულტის რისკი მამაკაცებში 40 წლის შემდეგ იზრდება, ქალებში — ჯერ კიდევ 30 წლამდე. ამ დროს ორგანიზმში უფრო ხშირად ხდება სისხლძარღვთა დაცობა და იზრდება ინსულტის წარმოქმნის ალბათობა.

გამოკვლევის დროს გაირკვა, რომ მამაკაცების 60 პროცენტს, რომლებმაც ინსულტი გადაიტანეს, სისხლში შეენიშნებათ ქოლესტერინის მაღალი დონე. მათგან დაახლოებით 50 პროცენტი ეწეოდა, 39 პროცენტს კი მაღალი წნევა აწუხებდა.

ექიმები გვირჩევენ, დავიწყოთ ინსულტის პროფილაქტიკა — ვაკონტროლოთ არტერიული წნევა, ქოლესტერინის დონე, თვალყური ვადევნოთ ჩვენს წონას, ვეწეოდეთ ცხოვრების აქტიურ წესს და უარი ვთქვათ მოწევაზე.

ყავის ნაცვლად

ბრიტანელმა მკვლევარებმა გამოაქვეყნეს იმ პროდუქტების სია, რომლებსაც შეუძლიათ შეცვალონ დილის ყავა. სიაში პირველი — ჩვეულებრივი სასმელი წყალია. ის ხელს უწყობს სწრაფ გამოფხიზლებას.

ყავის შემცველი შეიძლება გახდეს შოკოლადი: კაკაოს მარცვლებში არის ექსტრაქტები, რომლებიც ახდენენ ორგანიზმის ტონიზირებას, და შოკოლადი ზრდის ჩვენი ენერგიის მარაგს.

წითელი ვაშლი, დილით რომ მივირთმევთ, ასევე აჩქარებს გამოფხიზლებას, ამდიდრებს ორგანიზმს ვიტამინებითა და უჯრედისებით. პროდუქტების სიაშია ასევე კაკალი, ქათამი, თევზი, შვრიის ფაფა და მწვანე ჩაი.

კვლევის ავტორებს მიაჩნიათ, რომ ორგანიზმს სიფხიზლის მუხტის მიღებისთვის სჭირდება დაბალანსებული საუზმე და არა კოფეინი.

◎ ანეკდოტები

დაგეჯიქით დიეტაზე, უარი თქვით ექვსი საათის შემდეგ ჭამაზე და ორ კვირაში დაკარგავთ მხიარული ცხოვრების 14 დღეს.

* * *

როდესაც ბინაში შეპარულმა ქურდებმა მაცივარში მხოლოდ მაგნიტის ორი ნაჭერი აღმოაჩინეს, კატა დაიპურეს და ჭურჭელი გარეცხეს.

* * *

საკუთარ თავს ხშირად ვიჭერ იმ აზრზე, რომ სამსახურში დავდივარ იმიტომ, რომ იქ არის ინტერნეტი, მაღაზიაში კი იმიტომ, რომ იქ ლუდია.

* * *

როდესაც პარფიუმერიის მაღაზიაში გამყიდველი-კონსულტანტი მომიახლოვდება ხოლმე და მეკითხება, „შემიძლია, რომ რაიმეთი დაგეხმაროთ?“, გულწრფელად ვპასუხობ: „შეგიძლიათ! გამაძევეთ აქედან, თუ ღმერთი გწამთ!“



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერომსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com